პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 14 აგვისტო, 1948 წ. № 161 (8205). ფასი 20 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება მნიშვნელოვანი ამოცანაა—მოწინავე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).
მეშახტეთა საკავშირო დღისათვის (მე-2 გვერდი).
საბჭოთა მთავრობის პროტესტი ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მოქალაქეების მოტაცების გამო (მე-2 გვერდი).
მ. გონგაძე — კომკავშირში პოლიტიკური სწავლების მაღალი ხარისხისათვის (მე-2 გვერდი).
საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა დუნაის კონფერენციაზე 1948 წლის 11 აგვისტოს დილის სხდომაზე (მე-3 გვერდი).
დუნაის კონფერენციაზე (მე-3 და მე-4 გვერდი).

მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება მნიშვნელოვანი ამოცანაა

ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საწარმოთა უზრუნველყოფა მაღალკვალიფიციური, ტექნიკას დაუფლებული მუშათა კადრებით. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, შახტები და მაღაროები უახლესი ტექნიკით არიან აღჭურვილნი, მაგრამ „ტექნიკა რომ ავამოძრაოთ და ბოლომდე გამოვიყენოთ, საჭიროა ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, საჭიროა კადრები, რომელთაც შესწევთ უნარი აითვისონ და გამოიყენონ ეს ტექნიკა ხელოვნების მთელი ოსტატობით".

დიდი სტალინის ამ მითითებას მტკიცედ ახორციელებს ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი. ფაბრიკა-ქარხნებს, შახტებსა და მაღაროებს, სახალხო მეურნეობის ყველა დარგს ათასობით ჰყავს ტექნიკას დაუფლებული ადამიანები, მაღალკვალიფიციური მუშათა კადრები. ესენია ის წარჩინებული სტახანოველები, რომლებიც კარგად დაეუფლნენ ახალ ტექნიკას, სისტემატურად იმაღლებენ კვალიფიკაციას და ამის შედეგად გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს ორ-სამმაგად ასრულებენ. წინ სწევენ ჩვენს მრეწველობას, განუხრელი აღმავლობის გზით მიჰყავთ იგი, აჩქარებენ კომუნიზმის მშენებლობას. სტახანოვური მოძრაობა, რომელიც ამ ცამეტი წლის წინათ წარმოიშვა, სწრაფად გავრცელდა ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. მილიონობით ადამიანი სტახანოველი გახდა.

ლენინ-სტალინის პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად დიდი სტალინი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მუშათა კვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს. ახალგაზრდა მუშათა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად ჩვენში შექმნილია სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტრო, რომელსაც საქარხნო-საფაბრიკო სწავლების სკოლების, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლების ფართო ქსელი მოეპოვება. ეს სკოლები და სასწავლებლები ყოველწლიურად მრავალ ასეულ ათას მომზადებულ ახალგაზრდა მუშას აწვდიან ჩვენს მრავალფეროვან სახალხო მეურნეობას, მაგრამ მაინც ვერ აკმაყოფილებენ სოციალისტური სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებას კვალიფიციურ მუშახელზე. ამიტომ არის, რომ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებს, პარტიულ ორგანიზაციებს დაკისრებული აქვთ საწარმოში მოამზადონ კვალიფიციური კადრები, სისტემატურად აამაღლონ მუშათა კვალიფიკაცია ტექნიკურ წრეებსა და სტახანოვურ სკოლებში, მოაწყონ ბრიგადული და ინდივიდუალური სწავლება.

ჩვენ გვაქვს მრავალი ისეთი საწარმო, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშათა ახალი კადრების მომზადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, სადაც გულისხმიერად ეპყრობიან საქარხნო-საფაბრიკო სკოლებიდან და სახელოსნო სასწავლებლებიდან მათთან სამუშაოზე გაგზავნილ ახალგაზრდა მუშებს. ასეთ საწარმოებში აღმოფხვრილია მუშათა დენადობა, სამუშაოს თვითნებურად მიტოვების შემთხვევები. ეს განსაკუთრებით შეეხება თბილისის დაზგათმშენებელ და მანქანათმშენებელ ქარხნებს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას და მძიმე მრეწველობის მთელ რიგ სხვა საწარმოებს. ამ საწარმოებში კვალიფიკაციას კარგად დაუფლებული მუშათა კადრებია, რომელთა უმრავლესობა სტახანოვურად მუშაობს.

მაგრამ იგივე როდი შეიძლება ითქვას ჩვენი მსუბუქი მრეწველობის ყველა საწარმოზე. სამეურნეო წლის პირველ ნახევარში მუშათა საგრძნობ დენადობას ჰქონდა ადგილი ფაბრიკა „საქართველოს ტრიკოტაჟში", თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკაში, სამკერვალო ფაბრიკებსა და სხვა საწარმოებში. ამის შედეგად ამ საწარმოების მუშათა კვალიფიკაცია დაბალია. მუშათა დაბალი კვალიფიკაციის გამო ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკაში ხშირად ირღვევა ტექნოლოგიური პროცესი, რაც გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. თბილისის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში მიმდინარე წლის აპრილში მოეწყო ცხელი ვულკანიზაციის საამქრო. ამ საამქროს სრული სიმძლავრით ათვისება ერთი თვის განმავლობაში უნდა მომხდარიყო, მაგრამ ფაბრიკის ხელმძღვანელებმა ვერ შესძლეს საამქროსათვის კვალიფიციური კადრების მომზადება. ამის შედეგად ფაბრიკამ წლის პირველ ნახევარში ათეულ ათასობით წყვილი ფეხსაცმელი დააკლო ქვეყანას.

მუშათა დენადობა აფერხებს კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალი ტექნიკის დაუფლებას, დაბლა სწევს საწარმოო გეგმის შესრულების მაჩვენებელს. ამასთანავე იმ საწარმოებში, სადაც მუშათა დენადობაა, მათ მიერ გამოშვებული პროდუქციაც უმრავლეს შემთხვევაში დაბალხარისხოვანია, ადგილი აქვს ნედლეულისა და დამხმარე მასალების, საწვავისა და ელექტროენერგიის გადახარჯვას, დაზგადანადგარების სრული სიმძლავრით გამოუყენებლობას.

მუშათა დენადობა ძირითადად კოლექტიურ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული მთელი რიგი მუხლების შეუსრულებლობით უნდა აიხსნას. მართალია, გასულ წელთან შედარებით, წელს გაცილებით უკეთ სრულდება კოლექტიური ხელშეკრულებანი, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ეს განსაკუთრებით შეეხება საბინაო მშენებლობას, მუშათა საერთო საცხოვრებლების კეთილმოწყობას.

ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები ენერგიის დაუზოგავად იბრძვიან ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის საწარმოო გეგმების 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად. ზოგიერთი საწარმოს კოლექტივმა უკვე გადასინჯა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი და გეგმების შესრულების ვადები კიდევ უფრო შეამოკლა. თვითეული საწარმოს სამეურნეო ხელმძღვანელობის, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანაა გაუთანაბრდნენ მოწინავე საწარმოთა კოლექტივებს გეგმების შესრულებაში, მოიპოვონ მეტი წარმატება, მიაღწიონ საერთო აღმავლობას.

საწარმოო გეგმის ვადამდე შესრულების ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია მუშათა დენადობის აღმოფხვრა, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ყოველდღიური ზრუნვა, იმ ახალი ტექნიკის მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოყენება, რომლითაც აღჭურვილია სოციალისტური მრეწველობა. მრეწველობის მუშაკებს ეს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

ძვირფასო ამხანაგო სტალინ!

დნეპროვსკმრეწვმშენის ტრესტისა და მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს სპეციალიზებული ორგანიზაციების მშენებლები და მემონტაჟეები, კარლ ლიბკნეხტის სახელობის ქარხნის მეტალურგები მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ თქვენი დავალება კარლ ლიბკნეხტის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს აგებისა და აღდგენის დარგში შესრულებულია. 1948 წლის 31 ივლისს ამუშავდა მილსაგლინავი დაზგა და უკვე იძლევა მთლიანნაგლინავ მილებს ჩვენი სამშობლოს ნავთის მრეწველობისათვის. მილსაგლინავ საამქროსთან ერთად ამუშავდა ქარხნის მთელი რიგი ენერგეტიკული და სხვა ნაგებობანი. ივლისში მწყობრში ჩადგა და შეუფერხებლად მუშაობს აღსადგენი მარტენის საამქროს მესამე მარტენის ღუმელი. მშენებლებმა და მეტალურგებმა მოკლე ვადაში დაშალეს და გაზიდეს 150.000 ტონა ნაზღლევი და ნაგავი, 20 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, დამონტაჟებულია 5.000 ტონა ლითონკონსტრუქცია, დადგმულია 3.200 ტონა ტექნოლოგიური მოწყობილობა, დამონტაჟებულია 18 ხიდური ამწე, ჩაწყობილია 55 კილომეტრი სხვადასხვა მილსადენი და 217 კილომეტრი კაბელი და სადენი, საექსპლოატაციოდ გადაცემულია 3.700 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ჩვენ ვიცით, რომ კარლ ლიბკნეხტის სახელობის ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ამუშავება იმ დიდი სამუშაოს ნაწილია, რომელიც ჩვენ უნდა შევასრულოთ. წელს ჩვენ უნდა დავამთავროთ ქარხნის პირველი რიგის მშენებლობა და აღდგენა და უზრუნველვყოთ საბინაო მშენებლობის გეგმის შესრულება.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ძალღონესა და ენერგიას არ დავზოგავთ სამშენებლო სამუშაოთა გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, უმოკლეს ვადაში ავითვისებთ მილსაგლინავი საამქროს სრულ საწარმოო სიმძლავრეს და ჩვენს სამშობლოს წელსვე მივცემთ ათიათასობით ტონა მაღალი ხარისხის მილებს.

გულწრფელად გისურვებთ, ჩვენო მშობლიურო იოსებ ბესარიონის-ძევ, ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ.

დნეპროვსკმრეწვმშენის ტრესტის მმართველი **ვოლინსკი**
კარლ ლიბკნეხტის სახელობის ქარხნის დირექტორი **ბალაკინი**
უკრაინის კ. პ. (ბ) დნეპროპეტროვსკის საოლქო კომიტეტის მდივანი **ბრეჟნევი**
დნეპროვსკმრეწვმშენის ტრესტის მთავარი ინჟინერი **შჩიგოლევი**
კარლ ლიბკნეხტის სახელობის ქარხნის მთავარი ინჟინერი **სტუპელი**
დნეპროვსკმრეწვმშენის ტრესტის პარტორგანიზაციის მდივანი **ვალენიუკი**
საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგი კარლ ლიბკნეხტის სახელობის ქარხანაში **ჩერნენკო**
დნეპროვსკმრეწვმშენის ტრესტის სამშენებლო კომიტეტის თავმჯდომარე **კოზლოვი**
კარლ ლიბკნეხტის სახელობის ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **პოპოვიჩენკო**

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად

საქართველოს მშრომელები ემზადებიან ტრადიციული საყოველთაო სახალხო დღესასწაულისათვის — სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის, რომელიც 15 აგვისტოს აღინიშნება.

თბილისის მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში, საქართველოს ზღვისპირა ქალაქებსა და სოფლებში მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა შორის იმართება ლექციები, მოხსენებები და საუბრები ფლოტის დღის მნიშვნელობაზე, აგრეთვე სპეციალურ თემებზე: „ლენინ-სტალინის პარტია საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ორგანიზატორი და ხელმძღვანელია", „სსრ კავშირი დიდი საზღვაო სახელმწიფოა", „საბჭოთა მეზღვაურების სამხედრო და რევოლუციური ტრადიციები", „რუსეთისა და საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დამსახურება სამხედრო-საზღვაო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების საქმეში" და სხვ.

როგორც „კომუნისტის" თანამშრომელს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს საორგანიზაციო ბიუროში აცნობეს, ამ საზოგადოების პირველად ორგანიზაციებს დაეგზავნათ დირექტივა, რომლის საფუძველზეც მშრომელთა შორის მოეწყობა პოპულარული საუბრები საზღვაო ფლოტის დღის მნიშვნელობასა და სხვა თემებზე. ადგილებიდან მიღებული პირველი ცნობებით ბათუმის, სოხუმის, ფოთისა და საქართველოს ზღვისპირა სხვა ქალაქების მშრომელები მასობრივად შედიან ამ საზოგადოების ორგანიზაციებში, დიდ ინტერესს იჩენენ ზღვაოსნობის საქმის შესწავლისადმი.

დღესასწაულთან დაკავშირებით ადგილებზე ეწყობა სამამულო ომის მონაწილე სახელოვანი მეზღვაურების შეხვედრები მშრომელთა წარმომადგენლებთან. ზღვისპირა ქალაქების მსხვილ საწარმოებში ეწყობა სამხედრო-საზღვაო კუთხეები, კაბინეტები და გამოფენები, მიძღვნილი საზღვაო ფლოტის დღისადმი.

15 აგვისტოს ადგილებზე მოეწყობა მასობრივ-სპორტული შეჯიბრებანი ცურვაში, წყალბურთში, ექსკურსია—გასეირნებანი ნავებით, კატერებით და სხვ. ამ დღეს პარკებსა და ბაღებში გაიმართება მასობრივი სახალხო სეირნობანი.

* * *

თბილისის გარნიზონის ნაწილებსა და განაყოფებში იმართება საუბრები და ლექციები, ეწყობა ახალგაზრდა მეომართა შეხვედრები დიდი სამამულო ომის მონაწილე მეზღვაურებთან, უჩვენებენ კინოფილმებს საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის შესახებ და სხვ. თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის საზაფხულო პარკში ეწყობა გამოფენა „გამოჩენილი საბჭოთა მეზღვაურები". 14 აგვისტოს აქვე ჩატარდება მოხსენება სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის შესახებ, რომლის შემდეგ მოეწყობა სახალხო სეირნობა. კვირას, 15 აგვისტოს ოფიცერთა საოლქო სახლის საზაფხულო პარკში გაიმართება დიდი მასობრივი სეირნობა სპეციალური პროგრამით.

* * *

ფოთი გაცხოველებით ემზადება სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად. პარტკაბინეტებში, ბიბლიოთეკებსა და წითელ კუთხეებში მოწყობილია ფლოტის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და მასალების გამოფენა.

აგიტკოლექტივის ხელმძღვანელთა, აგიტატორთა და მომხსენებელთათვის ჩატარდა სემინარი თემაზე: „სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტი". კომკავშირის საქალაქო კომიტეტი ახალგაზრდობისათვის ატარებს მოხსენებებს თემებზე: „კომკავშირი სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეფია". ეწყობა მეზღვაურთა შეხვედრები ნავსადგურისა და ქალაქის ახალგაზრდობასთან.

ფლოტის დღეს, 15 აგვისტოს, ნავსადგურში მოეწყობა მასობრივი სპორტული შეჯიბრებანი. კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართება დიდი სეირნობა. ქალაქის თეატრში ჩატარდება პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი.

(„კომუნისტის" კორ.).

სამხრეთის ხილი ლენინგრადის გარეუბანში

ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიაში ი. ვ. მიჩურინის მოწაფემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ფ. ტეტერევმა წარმოადგინა საინტერესო ექსპონატები — ბლის ტოტები, რომლებიც დახუნძლული იყო მსხვილი წვნიანი ნაყოფით. ბალი მოყვანილია მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ექსპერიმენტული ბაზის ბაღში ლენინგრადის ახლოს. ამ სამხრეთის მცენარის ჯიში, რაც მეცნიერმა გამოიყვანა ლენინგრადის ოლქში ისე ხარობს, როგორც სამხრეთში. ჩრდილოეთის ბლის ნაყოფი გემოთი სამხრეთისას როდი ჩამოუვარდება. წელს თითო ახალგაზრდა ხეზე 10-15 კილოგრამი ნაყოფი მოჰკრიფეს. ინსტიტუტმა ლენინგრადის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გადასცა ჩრდილოეთის ბლის პირველი ათასი კალამი.

მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის ექსპერიმენტული ბაზის ბაღში ხარობს ტეტერევის მიერ გამოყვანილი ნუშ-ალუბლის ჰიბრიდი და ბალშინდის ჰიბრიდი. პირველი ჰიბრიდის ნაყოფის ხორცს ალუბლის გემო აქვს, ხოლო კურკის გულს — ნუშის გემო. მეორე ჰიბრიდის ნაყოფი მტევნად იზრდება, როგორც შინდის ნაყოფი, მაგრამ ბლის ნაყოფსავით დიდია. (საკდესი).

ჩერნენკოს ვაშლი

ნახევარი საუკუნეა, რაც სტალინური პრემიის ლაურეატი, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი ს. ფ. ჩერნენკო მუშაობს ახალ-ახალი ჯიშისა და ფორმის ხეხილის შესაქმნელად. მან ათ წლიწადს იმუშავა თავის მასწავლებელთან, დიდ ბუნებისმეტყველ და ბუნების გარდამქმნელ ი. ვ. მიჩურინთან ერთად. ამჟამად იგი მუშაობს ი. ვ. მიჩურინის სახელობის ცენტრალურ გენეტიკურ ლაბორატორიაში და დაუღალავად და ნაყოფიერად განაგრძობს მის საქმეს.

მან ასამდე ახალი ჯიშის ვაშლი გამოიყვანა. ზოგიერთი მათგანი „ჩერნენკოს პეპინი", „დიანა", „ფენიქსი", „ახალი ანტონოვკა", „უკრაინული როზმარინი" უკვე გაშენებულია უკრაინისა და რუსეთის რესპუბლიკის ბევრი რაიონის ბაღებში.

ამ უკანასკნელ წლებში ჩერნენკომ მრავალი შესანიშნავი ჯიშის საადრეო ვაშლი გამოიყვანა: „ივლისისა", „ჩინებული ვარდის ფერი", რომელიც დიდრონ ტკბილ ნახევარ გირვანქიან ლამაზ ღია ვარდისფერ ნაყოფს იძლევა, მშვენიერი საზამთრო ჯიშები „პირმშო", „გამარჯვება", „ნარინჯისფერი", „სუვოროვი", „ბუმბერაზი" და სხვები.

ტამბოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „სნეჟეტკიში" გაშენებულია მიჩურინელ ჩერნენკოს 10 ჰექტარი ვაშლის ბაღი.

ახალი უხვზეთოვანი მზესუმზირა

მზესუმზირას ჟდანოვისეული ჯიშები განთქმულია მოსავლითა და უხვი ზეთოვანობით. მათ თესავენ ჩვენს ქვეყანაში დაახლოებით 1 მილიონ ჰექტარზე. უძვირფასესი ჯიშის მზესუმზირას შექმნისათვის მეცნიერს სტალინური პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

წელს აკადემიკოსმა ლ. ა. ჟდანოვმა ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისიას გადასცა მის მიერ გამოყვანილი ახალი ჯიშის მზესუმზირა, რომელსაც აქვს გადიდებული ზეთოვანობა და მოსავლიანობა.

ამ ჯიშის მზესუმზირა უძლებს კელაპტარას — პარაზიტულ მცენარეს, რომელიც მზესუმზირას ფესვებში ჩნდება და მკვეთრად ამცირებს მის მოსავლიანობას, ზოგჯერ კიდევაც ღუპავს ნათესს.

საბჭოთა დელეგაცია საერთაშორისო ასტრონომიულ ყრილობაზე გაემგზავრა

11 აგვისტოს მოსკოვიდან გაფრინდა საბჭოთა კავშირის მეცნიერთა — ციურიხის საერთაშორისო ასტრონომიული ყრილობის მონაწილეთა დელეგაცია.

დელეგაციაში შედიან: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ასტრონომიული საბჭოს თავმჯდომარე ა. მიხაილოვი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ამბარცუმიანი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ა. ორლოვი, პროფესორები მ. ზვერევი, ო. მელნიკოვი, პ. კუკარკინი, აბასთუმნის ობსერვატორიის დირექტორი ე. ხარაძე. (საკდესი).

ალბანეთიდან დაბრუნდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების დელეგაცია და საბჭოთა არტისტები

12 აგვისტოს ალბანეთიდან მოსკოვს დაბრუნდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების დელეგაცია და საბჭოთა არტისტების ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ სსრ კავშირთან ალბანეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პირველ კონგრესში.

უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ა. ნ. შაბანოვი.

(საკდესი).

დაიხურა ჩეხოსლოვაკიის მსუბუქი მრეწველობის გამოფენა

12 აგვისტოს მოსკოვში დაიხურა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საქონლის გამოფენა.

გამოფენას დიდი წარმატება ჰქონდა. 14 დღის განმავლობაში გამოფენა 180 ათასზე მეტმა მშრომელმა დაათვალიერა. გამოფენილმა საქონელმა დადებითი შეფასება მიიღო. შთაბეჭდილების წიგნების მრავალი ჩანაწერი მოწმობს, თუ რა გულთბილად შეხვდა საბჭოთა კავშირის დედაქალაქის მოსახლეობა ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის მუშათა კლასის შრომის შედეგის ჩვენებას.

—გამოფენა საუცხოო შთაბეჭდილებას იძლევა ჩვენი მეგობარი ქვეყნის პროდუქციის შესახებ, — სწერენ მოსკოვის სკოლების მასწავლებლები. — ვუსურვებთ მოძმე რესპუბლიკას კიდევ უფრო განავითაროს თავისი მრეწველობა და განამტკიცოს ეკონომიური ურთიერთობა ჩვენს ქვეყანასთან.

ჩაის ფოთლის კრეფა

აგვისტოს მეორე ხუთდღიურში სუბტროპიკულ რაიონებში მოკრეფილია ორჯერ მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, ვიდრე ამავე თვის პირველ ხუთდღიურში. 10 აგვისტოსათვის წლიური გეგმა შესრულებულია 65,6 პროცენტით, აგვისტოსი, წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით,—18,2 პროცენტით.

ბათუმის რაიონში ჩაის ფოთლის კრეფის აგვისტოს გეგმა 22,2 პროცენტით არის შესრულებული, ქობულეთის რაიონში — 22,1 პროცენტით, გალის — 14,5, ოჩამჩირის — 11, გულრიფშის — 10,9 სოხუმის — 14, გუდაუთის — 15,1, მახარაძის—24,3, ჩოხატაურის — 27,2 ლანჩხუთის — — 25,2, სამტრედიის — 16 წულუკიძის — 9,9, ქუთაისის — 29,8, წყალტუბოს — 7,3, ტყიბულის — 34,8, ცხაკაიას — 6,8, აბაშის — 5,4, გეგეჭკორის — 16, ზუგდიდის — 21,4 წალენჯიხის — 9,8, ჩხოროწყუს — 16, ხობის — 4,9, ჩხარის — 10,1, ზესტაფონის რაიონში — 2,3 პროცენტით.

ქობულეთისა და ხობის რაიონების ცნობები არასრულია.

პურეულის აღება დამთავრებულია 19 რაიონში

საქართველოს კოლმეურნეობებში 10 აგვისტოსათვის თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღების გეგმა შესრულებულია 80 პროცენტით. პურეულის აღება დამთავრებულია 19 რაიონში.

აჭარის ასს რესპუბლიკაში გეგმა 74,1 პროცენტით არის შესრულებული, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 62,7 პროცენტით, დმანისის რაიონში — 58,1, საგარეჯოს — 86,2, ბოლნისის — 99,9, მარნეულის —96,2, მცხეთის — 97,8, თიანეთის — 55, თეთრი წყაროს — 90,9, დუშეთის — 78,2, წალკის — 5,1, ბორჯომის — 26,2, კასპის — 96,9, გორის — 90,9, ხაშურის — 98,7, ასპინძის — 77,7, ადიგენის — 83,4, ახალციხის — 98,3, ბოგდანოვკის — 11,6, ახალქალაქის — 37,9, ქლუხორის — 54,2, ქვემო სვანეთის — 64,1, ცაგერის — 93,3, ამბროლაურის — 75,1, ონის — 63,1, საჩხერის — 99,4, ჭიათურის — 96,6, მაიაკოვსკის რაიონში — 99 პროცენტით.

ტყვარჩელელ ელექტრიკოსთა მიღწევა

ტყვარჩელის ბერიას სახელობის თბოელექტროსადგურის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულების უზრუნველსაყოფად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, 4 აგვისტოს შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების 8 თვის გეგმა. წლის დასაწყისიდან ელექტრიკოსებმა მოგვცეს საწვავის ეკონომია 2 პროცენტით, ხოლო კილოვატსაათი ენერგიის თვითღირებულება შეამცირეს 3,5 პროცენტით.

ივლისში სადგურზე შემოიღეს ტურბინა-გენერატორის წყლის საშუალებით გაგრილება, რამაც გამოიწვია სადგურის სიმძლავრის 12 პროცენტით გადიდება.

(„კომუნისტის" კორ.).

რეკორდსმენი ნინო დუმბაძე დაჯილდოებულია ოქროს მედლით

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, ჩვენი ქვეყნისა და ევროპის რეკორდსმენმა ნინო დუმბაძემ, როგორც ცნობილია 53 მეტრსა და 25 სანტიმეტრზე სტყორცნა ბადრო. ეს ორი მეტრითა და 75 სანტიმეტრით აღემატება წინანდელ საკავშირო რეკორდს, რომელიც ნინო დუმბაძესვე ეკუთვნის, და თითქმის 5 მეტრით აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა საკავშირო კომიტეტმა ნინო დუმბაძის შედეგი დაამტკიცა, როგორც სსრ კავშირის ახალი რეკორდი. ნ. დუმბაძე დაჯილდოებულია პირველი ხარისხის ოქროს მედლითა და დიპლომით.

ნ. დუმბაძის მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. დიაჩკოვი, დაჯილდოებულია საპატიო სიგელით. (საკდესი).

მეშახტეთა საკავშირო დღისათვის

სტახანოვური განრიგით მუშაობა უზრუნველყოფს წარმატებას

წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად გაჩაღებულ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს ტყიბულის სტალინის სახელობის შახტის მესამე უბანი, რომელსაც გ. ფანჩულიძე ხელმძღვანელობს. ქვანახშირის ამოღების შვიდი თვის გეგმა უბანმა 19 დღით ადრე შეასრულა.

უბნის მეშახტეები სტახანოვური განრიგით მუშაობენ. ყველა ცვლასა და ბრიგადას წინასწარ ეძლევა დავალება. მტკიცე კონტროლია დაწესებული დავალების შესრულებაზე. მაგალითად, 27 ივლისს დ. პატარიძის ცვლას სტახანოვური განრიგით დაევალა ამოეღო 90 ტონა ქვანახშირი, 20 მეტრზე დაეგო საშახტო-სატრანსპორტო ლიანდაგი, მებიგეებს დაევალა გადაემაგრებინათ შტრეკი ქვემო ჰორიზონტზე.

დავალების გადაჭარბებით შესრულებისათვის უბნის ხელმძღვანელობამ უზრუნველჰყო მექანიზმების შეუფერხებელი მუშაობა. ცვლამ შტრეკში წინასწარ მიზიდა რელსები, შპალები, ბიგები. თითოეულ მტვირთავს მიეცა დავალება 9 ტონის ნაცვლად დაეტვირთა 15 ტონა ქვანახშირი. მუშაობის დაწყების პირველი წუთებიდანვე ცვლამ თავდადებული ბრძოლა გააჩაღა დავალების შესასრულებლად. გზის მოხელეებმა რვა საათში 20 მეტრის ნაცვლად ლიანდაგი დააგეს 30 მეტრზე. მებიგეებმა ვ. ბონდარენკომ და ა. ცნობილაძემ შტრეკში 4 ბელის ნაცვლად ჩადგეს 6 ბელი. ამ დღეს ცვლამ 16 ტონით მეტი ქვანახშირი მოანგრია, ვიდრე სტახანოვური განრიგით იყო გათვალისწინებული, და გეგმა 135,8 პროცენტით შეასრულა.

დიდი ყურადღება ექცევა სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა დროულად წარმოებას. ქვანახშირის ამოღებასთან ერთად უბანი ამზადებს ახალ ლავებსა და სანგრევებს. უკანასკნელ ერთ თვეში უბანში მომზადდა სამი ახალი მძლავრი ლავი, რომლებიც დღეღამეში 240 ტონაზე მეტ ქვანახშირს გვაძლევენ. სწრაფი ტემპით სწარმოებს კიდევ სამი ლავის მომზადება.

უბანში მრავალი სახელგანთქმული მეშახტეა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინის ორდენოსანი შ. ფურცხვანიძე 9,7 ტონის ნაცვლად 20-25 ტონა ქვანახშირს ანგრევს ცვლაში. მნგრეველი ს. ლანჩავა, რომელიც მეშახტის დღისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე დგას, მრავალ სანგრევში მუშაობს და ხშირად სამმაგად ასრულებს დავალებას. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობენ უბნის მეშახტეები ობოლაძე, ა. ცხელიშვილი და სხვები.

უბნის კოლექტივი მეშახტის დღისათვის 10 თვის გეგმის შესასრულებლად იბრძვის.

სადღესასწაულო ვახტზე

ტყიბულელმა სტახანოველმა მეშახტეებმა ს. სოფრომაძემ, ს. ლაფერაძემ, ნ. ხაჭაპურიძემ, თ. ნანიკაშვილმა, დ. ქათამაძემ და ი. სერებრიაკოვმა მოწოდებით მიმართეს ყველა მეშახტეს გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება „მეშახტის დღის“ აღსანიშნავად და იკისრეს კონკრეტული ვალდებულება —ამ დღისათვის თვითეულმა შეასრულოს 14 თვის გეგმა.

შახტებს, უბნებსა და ცვლებს სოციალისტური შეჯიბრების ტალღა მოედო. ასობით აგიტატორი ეწევა მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას.

წინ მიდიან მეშახტეები ს. სოფრომაძე, დ. გოჩალაშვილი, ი. ბეშკენაძე, ა. ყიფშიძე, დ. ქათამაძე. ისინი ყოველდღიურ დავალებას 300 პროცენტით ანაღდებენ.

შახტების ელვა-გაზეთი სისტემატურად ეწევა „მეშახტის დღის“ აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულთა პოპულარიზაციას.

დღითიდღე მრავლდება სტახანოვურ ვახტზე მდგომ მეშახტეთა რიცხვი.

მნგრეველ შ. აფხაიძის მიღწევა

ლენინის სახელობის შახტის კომუნისტმა მნგრეველმა შოთა აფხაიძემ მეშახტის დღისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ბრწყინვალე წარმატება მოიპოვა. 23 ივლისს მან სანგრევის ხაზი წინ წასწია 14 მეტრით. იგი წინასწარ შეუდგა სამუშაო ადგილის მომზადებას, მოიმარაგა საჭირო სამაგრი მასალა, შეამოწმა ყველა სამთო-მექანიზმის მზადყოფნა და პირველი წუთებიდანვე დაიწყო ენერგიული მუშაობა. მან ამ დღეს დავალება 560 პროცენტით გაანაღდა და ამით მოათავა 4 წლის გეგმის შესრულება.

31 ივლისს შ. აფხაიძემ სანგრევების გათხრის წლიური დავალება 100,4 პროცენტით შეასრულა. ახლა იგი ყოველდღიურად ზრდის მუშაობის ტემპს და იბრძვის იმისათვის, რომ 21 დეკემბრისათვის შეასრულოს პირადი ხუთწლიანი გეგმა.

მეშახტის დღისადმი მიძღვნილ სტახანოვურ ვახტზე საუკეთესო წარმატებას მიაღწია ამავე შახტის მეორე საექსპლოატაციო უბნის მოწინავე მნგრეველმა ი. სერებრიაკოვმა. 3 აგვისტოს მან ქვანახშირის მონგრევის დავალება 202 პროცენტით შეასრულა და უზრუნველჰყო ქვანახშირის მონგრევის წლიური პროგრამის განაღდება.

რადიოქარხნის სტახანოველები

საერთო პროდუქციის გამოშვების ნახევარი წლის გეგმა რადიოქარხნის კოლექტივმა 107,8 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა—103,6 პროცენტით. ქარხანამ ივლისის გეგმაც გადაჭარბებით (101,6 პროცენტით) შეასრულა.

გასულ წელთან შედარებით 6 თვეში საქარხნო პროდუქციის თვითღირებულება 3,3 პროცენტით შემცირდა, დაზოგილია 44 ათასი მანეთის დამხმარე მასალა.

გეგმების შესრულებაში თავი ისახელეს ქარხნის სტახანოველებმა. მწრთობელმა ი. ნოვორელცევმა ნახევარ წელიწადში 8½ წლის გეგმა შეასრულა, ახალგაზრდა მღარავმა რ. ბუროვმა 8 წლის ნორმა გაანაღდა. ხარატებმა ნ. ოკლიაროვმა, ს. არუთინოვმა და თ. შირიაევმა 7½, 7 და 6 წლის გეგმები შეასრულეს. ზეინკლებმა დ. მაისურაძემ და შ. ბოჭორიშვილმა 6-6 წლის, ლითონმსხმელმა ს. მარტიროსოვმა — 5 წლის, ხოლო დამამზადებელმა ი. კაზელაშვილმა 5½ წლის გეგმა გაანაღდეს.

ციტრუსების საბჭოთა მეურნეობები უკეთესად უნდა მუშაობდნენ

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა დიდ სტალინს პირობა მისცეს მიაღწიონ ციტრუსოვანთა მოსავლიანობის გადიდებას, სახელმწიფოს ჩააბარონ სულ მცირე 750 მილიონი ცალი ლიმონი, ფორთოხალი და მანდარინი, ციტრუსების გაშენების გეგმის უზრუნველსაყოფად სანერგეებში გამოიყვანონ ლიმონისა და ფორთოხლის 1.950.000 სტანდარტული ნერგი, გადარგონ 9,7 მილიონი და დაამყნონ 7 მილიონი ძირი ტრიფოლიატი.

ამ ამოცანის შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ ლიმონ-მანდარინის ტრესტის საბჭოთა მეურნეობებმა. მათ შარშან სახელმწიფოს 144 მილიონი ცალი ციტრუსის ნაყოფი ჩააბარეს (გეგმის 121,2 პროცენტი), ესე იგი ომამდელ დონესთან შედარებით 50 მილიონი ცალით მეტი.

წელს საბჭოთა მეურნეობებში დიდი მუშაობაა გაჩაღებული. ამ დღეებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარდა საბჭოთა მეურნეობების დირექტორებისა და მთავარი ბუღალტრების რესპუბლიკური თათბირი. მოხსენებით 1948 წლის სამუშაოთა მიმდინარეობისა და მორიგი ამოცანების შესახებ გამოვიდა ლიმონ-მანდარინის ტრესტის მმართველი ამხ. ა. ცომაია. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ლ. ზოდელავამ (ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობა), ტ. ჩოჩუამ (ფსირცხის საბჭოთა მეურნეობა), ა. ბედიამ (ციხისძირი), ა. ტრაპაიძემ (ურეკი), ნ. გაბუნიამ (კოხორა), ვ. გოლიაძემ (ცეცხლაური), დ. რამიშვილმა და ა. შავგულიძემ (ლიმმანტრესტი).

თათბირზე აღინიშნა, რომ წელს ბევრად უკეთ სრულდება როგორც პლანტაციების, ისე სანერგეების მოვლის სამუშაოები. მეტი ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას და აგროწესების ზუსტად განხორციელებას. სანერგეებში ამჟამად გამოყვანილია ციტრუსოვანთა თითქმის ერთ მილიონამდე ძირი 1-2-წლიანი სტანდარტული ნერგი, ამასთანავე გადაჭარბებით არის შესრულებული სხვადასხვა კულტურების თესვის, დარგვის, მყნობის, პიკირებისა და დაკალმების გეგმები.

საბჭოთა მეურნეობები ყველგან ერთნაირად როდი მუშაობენ. კოხორისა და ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობებს არ შეუსრულებიათ ციტრუსების რგვის საგაზაფხულო გეგმა. ამის გამო მთლიანად ტრესტის მიერ ლიმონის დარგში დავალება 94,1 პროცენტით არის განაღდებული, ფორთოხლისა კი 95,6 პროცენტით. გაგრის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობამ ციტრუსების რგვის გეგმა შეასრულა, მაგრამ არასტანდარტული ნერგით. ამიტომ პლანტაცია არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

მთლიანად ლიმმანტრესტის საბჭოთა მეურნეობებს ნაკვეთებში ორგანული სასუქის შეტანის გეგმა შესრულებული აქვთ. მაგრამ ფსირცხის, კვირიკეს, მახინჯაურისა და ახალშენის საბჭოთა მეურნეობებს დავალება 26-54 პროცენტზე მეტად არ გაუნაღდებიათ. ჩამორჩნენ ზოგან მინერალური სასუქების შეტანის საქმეშიც, მაგალითად, მახინჯაურის, ახალშენის, ცეცხლაურისა და კვირიკეს საბჭოთა მეურნეობებს ფოსფორით ერთი ჰექტარიც არ გაუპატივებიათ.

ზოგან დაარღვიეს ნიადაგის დამუშავებისა და მავნებლებთან ბრძოლის ვადები, არ იცავენ ხარისხს. ჩამორჩენილია ციტრუსოვანთა წამლობა გოგირდოვანი პრეპარატით. ეს სამუშაო არც კი დაუწყიათ გაგრის, ურეკის, ალამბრისა და მახვილაურის საბჭოთა მეურნეობებს.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ტუნგოს, სუბტროპიკული და სხვა ხეხილის წამლობაში. ტუნგოს პლანტაციები წელს სულ არ შეუწამლავთ ურეკის, ანაკლიის, ცეცხლაურისა და ახალშენის საბჭოთა მეურნეობებს, მუხაესტატეს საბჭოთა მეურნეობამ კი გეგმა მხოლოდ 21 პროცენტით შეასრულა.

ფუმიგაცია ციტრუსების მავნებლებისაგან დაცვის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიებაა. მიმდინარე წლის გეგმა ითვალისწინებს 200.000 ძირი ხის ამ წესით გაჯანსაღებას. ფაქტიურად დავალება ერთი მესამედით არის შესრულებული. მიზეზი ისიც არის, რომ ბევრგან არა აქვთ ბრეზენტის კარვები, რომლებიც აუცილებლად საჭიროა ამ წესით მავნებლების მოსპობისათვის.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება გვალვის პერიოდში ნიადაგის დაჩრდილვას მცენარის ტანის ირგვლივ (დამულჩვას) და წუნწუხით მორწყვას. ამ სამუშაოთა ვადა უკვე ამოიწურა. მიუხედავად ამისა, ფსირცხის, ურეკის, მახვილაურის და ზოგიერთ სხვა მეურნეობებს ნიადაგის საფარის მოწყობის დავალება ერთი მესამედითაც არ გაუნაღდებიათ.

1949 წლის გაზაფხულზე ლიმონისა და ფორთოხლის გასაშენებლად ნიადაგი წელსვე უნდა მომზადდეს, მაგრამ ამ დარგშიც ყველაფერი რიგზე როდია: გამოყოფილი ფართობების ტყე-ბუჩქნარისაგან გაწმენდის გეგმა 37,7 პროცენტით არის შესრულებული, ნიადაგის მომზადებისა კი უფრო უმნიშვნელო რაოდენობით. ეს სამუშაო ჩამორჩენილია თითქმის ყველა მეურნეობაში.

ცალკეულ საბჭოთა მეურნეობებში ნაკლებად ითვალისწინებენ სანერგე მეურნეობის მნიშვნელობას. ამის შედეგია, მაგალითად, ის, რომ მახვილაურის მეურნეობაში დაუთესავია 250 კილოგრამი დაფნა, ფოთის მეურნეობაში გახმა ტრიფოლიატის, ხურმისა და დაფნის ნათესის დიდი ნაწილი, ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში კი გააჭიანურეს ნიადაგის დამუშავება.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ამხ. გ. ალავიძე, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა პლანტაციებისა და სანერგეების უკეთ მოვლაზე, სამუშაოთა ვადებისა და ხარისხის მტკიცედ დაცვაზე, საფინანსო დისციპლინის განმტკიცებაზე.

მზრალად მოხნულია 14.278 ჰექტარი

რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში გაჩაღებულია მზრალად ხვნა. ბოგდანოვკის რაიონში მზრალად მოხნულია 2.576 ჰექტარი, ახალქალაქის რაიონში—2.470, წალკის—1.400, ხაშურის—921, ქარელის—879, გარდაბნის რაიონში—632 ჰექტარი.

მზრალად ხვნა წარმატებით არის დაწყებული აგრეთვე დმანისის, ყვარლის, გურჯაანის და სხვა რაიონებში. სულ 10 აგვისტოსათვის საქართველოს კოლმეურნეობებში მზრალად მოხნულია 14.278 ჰექტარი, გეგმა შესრულებულია 9,5 პროცენტით.

საბჭოთა მთავრობის პროტესტი ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა მოქალაქეების მოტაცების გამო

ვ. მ. მოლოტოვის განცხადება ამერიკის ელჩისადმი

11 აგვისტოს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი სმიტი და შემდეგი განუცხადა:

31 ივლისს ნიუ-იორკიდან გემ „პობედათი“ საბჭოთა კავშირში უნდა წამოსულიყვნენ მთელი რიგი საბჭოთა მოქალაქენი, რომელთა შორის იყვნენ ნიუ-იორკის საბჭოთა სკოლის მასწავლებლები ო. ს. კასიენკინა და მ. ი. სამარინი, მისი ცოლი კ. მ. სამარინა და მათი სამი მცირეწლოვანი შვილი ტატიანა, ელენე და ვლადიმერი. გემის გამოსვლისას ხსენებული საბჭოთა მოქალაქენი არ გამოცხადდნენ, თუმცა მათ მანამდე იყიდეს სამგზავრო ბილეთები და ბარგი ჩააბარეს გემზე. გამორკვევამ ცხადჰყო, რომ ხსენებული პირნი არც ბინაზე იყვნენ, ამასთან კასიენკინას თავისი ბინა დაუტოვებია 31 ივლისს დილით, ხოლო სამარინსა და მის ოჯახს—30 ივლისს ღამით.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ, რაც კასიენკინა დაიკარგა, 6 აგვისტოს, საბჭოთა კონსულმა ნიუ-იორკში ი. მ. ლომაკინმა, შემთხვევითი შესაძლებლობის მეოხებით, მიიღო კასიენკინას ბარათი, რომლითაც მან აცნობა კონსულს — ვიმყოფები ნიუ-იორკის მიდამოებში რიდ-ფარმის ფერმაში, რომელიც ეკუთვნის ბანდიტთა თეთრგვარდიულ ორგანიზაციას, რომელიც თავს „ტოლსტოის ფონდს“ უწოდებსო. თავისი ბარათით კასიენკინა სთხოვდა საბჭოთა კონსულს — ეხსნა იგი ამ ორგანიზაციისაგან, რომელიც ყოველგვარი მუქარითა და დაშინებით ცდილობდა, რომ კასიენკინას უარი ეთქვა სამშობლოში დაბრუნებაზე და პრესაში გამოექვეყნებინა საბჭოთა კავშირისადმი მტრული განცხადება. საბჭოთა კონსული ნიუ-იორკში მივიდა ამ წერილში აღნიშნულ ადგილას და მართლაც ნახა იქ კასიენკინა, რომელმაც სურვილი გამოსთქვა დაუყოვნებლივ გაჰყოლოდა მას საბჭოთა საკონსულოში. მიუხედავად ამისა, ფერმაში მყოფი ბანდიტები „ტოლსტოის ფონდის“ ორგანიზაციიდან შეეცადნენ ძალით შეეშალათ ხელი, რომ კასიენკინა იქიდან წასულიყო, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს.

7 აგვისტოს ნიუ-იორკის საკონსულოში გამართულ პრეს-კონფერენციაზე კასიენკინამ ილაპარაკა, რომ მას ერთი კვირის განმავლობაში კვალდაკვალ დასდევდნენ მანამდე მისი უცნობი პირნი, რომელთაგან ერთმა სთქვა დოქტორი კორჟენსკი ვარო, ხოლო მეორემ—ლეო კოსტელიო. ეს პირნი ცდილობდნენ მუქარითა და ძალადობით ეთქმევინებინათ მისთვის უარი სამშობლოში დაბრუნებაზე. ამასთან კოსტელიომ კასიენკინას ძალადაც კი შეუშხაპუნა ნარკოზული საშუალება, ცხადია, იმ მიზნით, რომ მოედუნებინა მისი წინააღმდეგობა. 31 ივლისს დილით კასიენკინა მოიტაცა იმ ავტომანქანის შოფერმა, რომლითაც იმ დღეს კასიენკინასთან მივიდა ხსენებული კორჟენსკი. ამ მანქანამ კასიენკინა მიიყვანა რივერსაიდ დრაივში, თეთრგვარდიელ ზენზინოვის ბინაში, საიდანაც იგი გადაიყვანეს რიდფარმში. ამ ფერმაში ყოფნის დროს კასიენკინამ გაიგონა, რომ „ტოლსტოის ფონდად“ წოდებული თეთრგვარდიული ბანდის მონაწილემ ალექსანდრა ტოლსტაიამ სთქვა, სამარინი და მისი ოჯახიც აქვე ახლო არიანო.

იუნაიტედ პრესის სააგენტოს ნიუ-იორკელი კორესპონდენტის ცნობით, ალექსანდრა ტოლსტაიამ დაუდასტურა ამ კორესპონდენტს, რომ ტოლსტაიას ორგანიზაცია მონაწილეობდა სამარინის მოტაცებაში. 10 აგვისტოს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ბ-ნმა ლოვეტმა დაუდასტურა საბჭოთა ელჩს ვაშინგტონში, რომ სამარინს დაჰკითხა კვლევაძიების ფედერალურმა ბიურომ, რომელსაც, ამრიგად, კავშირი აქვს სამარინის, მისი ცოლისა და სამი შვილის მომტაცებელ ორგანიზაციასთან.

იმ განცხადების დამატებით, რაც გააკეთა საბჭოთა ელჩმა ვაშინგტონში, მე, საბჭოთა მთავრობის დავალებით, პროტესტს ვაცხადებ იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფალნი უგულებელჰყოფენ საბჭოთა მოქალაქეების—კასიენკინას, სამარინისა და მისი ოჯახის მიმართ ჩადენილ ზემოაღნიშნულ დანაშაულებრივ მოქმედებას. საბჭოთა მთავრობა მტკიცედ მოითხოვს, რომ სამარინი და მისი ოჯახი დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ და სამშობლოში მათ გამოგზავნამდე გადასცენ სსრ კავშირის გენერალურ საკონსულოს ნიუ-იორკში, აგრეთვე დაისაჯონ ყველა ის პირნი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა მოქალაქეების მოტაცებაში.

ბ-ნმა სმიტმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მთავრობას აცნობებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას და აღუთქვა ვ. მ. მოლოტოვს, რომ ამერიკის ხელისუფალნი სასტიკად გამოიძიებენ ამ განცხადებაში მოყვანილ ფაქტებს. (საკდესი).

ახალი წიგნები

„აგიტატორის ბიბლიოთეკა“

კ. კალაშნიკოვი „ბოლშევიკური აგიტაციის ძირითადი ნიშნები“, 56 გვ. ფასი 70 კაპიკი.

ბროშურა შეიცავს თავებს ბოლშევიკური აგიტაციის მნიშვნელობის შესახებ, მისი იდეურობის, სიმართლის, სიცხადისა და მიზანსწრაფვის შესახებ, მისი კონკრეტულობისა და საბრძოლო შეტევითი ხასიათის შესახებ. ბროშურაში მოთხრობილია პარტიული ორგანიზაციების სააგიტაციო მუშაობის ახლანდელ ამოცანათა შესახებ.

გ. გლეზერმანი „როგორ უნდა მოვამზადოთ და მოვაწყოთ საუბარი“, 56 გვ. ფასი 70 კაპიკი.

ბროშურა შეიცავს შემდეგ თავებს: საუბარი აგიტაციის მნიშვნელოვანი სახეა; საუბრის დრო და ადგილი; მსმენელთა შემადგენლობა; თემის არჩევა, საუბრის შინაარსი; საუბრის მომზადება და მოწყობა; საუბრის კონკრეტულობა და ქმედითობა.

ბროშურები პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა თვითეული 500 ათას ცალად და ეგზავნება „აგიტატორის ბიბლიოთეკის“ ხელისმომწერთ, აგრეთვე გაიყიდება საცალო ვაჭრობის ხაზით.

კომკავშირში პოლიტიკური სწავლების მაღალი ხარისხისათვის

ბოლშევიზმის დიად ტრადიციებზე იზრდება სტალინური ეპოქის ბედნიერი თაობა. ლენინ-სტალინის პარტიამ ახალგაზრდობის აღზრდაში დიდი როლი დააკისრა კომკავშირს, რომელიც ამ მეტად საპატიო ამოცანას ღირსეულად ასრულებს. კომკავშირი წარმატებით ზრდის კომუნისტური საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ მშენებელთა თაობას.

„კომკავშირში პოლიტიკური განათლების გაუმჯობესების შესახებ“ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 22 აგვისტოს დადგენილების საფუძველზე ქალაქ ქუთაისის კომკავშირული ორგანიზაციები მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლებისა და საწარმოო აქტივობის ამაღლებას.

პოლიტიკური განათლების სისტემაში მნიშვნელოვან როლს ლექციური პროპაგანდა ასრულებს. ამიტომ მას სერიოზულ ყურადღებას ვუთმობთ. ნაყოფიერად მუშაობს კომკავშირის საქალაქო კომიტეტთან შექმნილი ლექტორთა ჯგუფი. იგი ერთიანებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების 29 მუშაკს. ლექციები იკითხება ადგილობრივი აქტივის ძალებითაც. წელს პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში წაკითხულია 350 ლექციამოხსენება ახალგაზრდობისათვის საინტერესო საკითხებზე. აი ზოგიერთი მათგანის თემა: „ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის დიადი თანამეგობრობა“, „კომუნისტური პარტიის შესახებ“, „ლენინური კომკავშირის საბრძოლო გზა“, „ახალი ხუთწლედის ძირითადი ამოცანები“, „საბჭოთა პატრიოტიზმი“ და სხვ. საქალაქო მასშტაბით თვეში 2-ჯერ ეწყობა ლექცია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ ლექციებზე მცირერიცხოვანი კომკავშირული ორგანიზაციების წევრთა დასწრებას. 1948 წლის იანვრიდან დღემდე ასეთი ლექცია მოეწყო 15-ჯერ, რომელთაც 4.500 ახალგაზრდა დაესწრო.

ლექციური პროპაგანდის ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უწყობს ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე ლექციების განხილვა. ჯგუფში იმართება ლექციის ირგვლივ ვაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ლექტორს ეძლევა სათანადო მითითებანი. მსხვილ სამრეწველო ობიექტებზე (საავტომობილო ქარხანა, მაუდის ფაბრიკა და სხვ.), სადაც დიდი რაოდენობით მუშაობენ ახალგაზრდები, შექმნილია მომხსენებელთა ჯგუფები. საავტომობილო ქარხნის მომხსენებელთა ჯგუფის ძალებით ქარხანაში წაკითხულია 30 ლექცია-მოხსენება.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტს მთელი რიგი ღონისძიებების გატარება მოუხდა იმისათვის, რომ გაეუმჯობესებინა ლექციური პროპაგანდა. იყო ლექციების ჩაშლის შემთხვევები (საქენერგო, ლიტოპონის ქარხანა). საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა აღნიშნული საკითხი. ამის შემდეგ ლექცია აღარ ჩაშლილა.

იმ კომკავშირელებისა და კავშირგარეშე ახალგაზრდობისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა, შექმნილია პოლიტწრეები. ქალაქში ამჟამად 46 პოლიტწრე მუშაობს, მათ შორის პარტიის ისტორიის შემსწავლელი წრე—9, სსრ კავშირის კონსტიტუციისა—17, საკავშირო ალკკ წესდებისა—14 და ბელადების ბიოგრაფიების შემსწავლელი წრე—6. სულ წრეებში გაერთიანებულია 917 ახალგაზრდა. ამას გარდა 500-ზე მეტი ახალგაზრდა პარტორგანიზაციებთან შექმნილ პოლიტწრეებში ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. დღემდე გამოშვებულია 52 პოლიტწრე. კარგად მუშაობენ კომკავშირული პოლიტწრეები საავტომობილო ქარხანაში, № 4 სახელოსნო სასწავლებელში, ქალაქის საფინანსო განყოფილებაში. თავისთავად ცხადია, რომ პოლიტწრეების მუშაობის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული პროპაგანდისტის თეორიულ დონეზე. კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა შექმნა ოთხთვიანი კურსები საკავშირო ალკკ წესდებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციის შემსწავლელი წრეების პროპაგანდისტებისათვის. თვითეული მათგანი 100-საათიანი პროგრამით მუშაობს. კურსებზე ლექციებს კითხულობენ ხელმძღვანელი ამხანაგები, მაგალითად, პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კოპალიანი, აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე ნ. რუხაძე, პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი დოცენტი ბრეგაძე და სხვ. გამოშვებულია 40 მსმენელი, რომლებიც ამჟამად პროპაგანდისტებად მუშაობენ პირველადს კომკავშირულ ორგანიზაციებში.

პროპაგანდისტულ მუშაობაში ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი. ხდება პოლიტწრეებში მეცადინეობის გაჭიანურება. მაგალითად, მაუდის ფაბრიკაში საკავშირო ალკკ წესდების შემსწავლელი წრე გამოშვებულ იქნა ერთი თვის დაგვიანებით. აბრეშუმის კომბინატში ერთ წელზე მეტია შექმნილია პარტისტორიის შემსწავლელი წრე, რომელიც დღემდე არ არის გამოშვებული.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტი დიდ ყურადღებას აქცევს აქტივის თეორიულ სწავლებას. კომკავშირული აქტივის დასახმარებლად საქალაქო კომიტეტთან შეიქმნა პარტიის ისტორიის შემსწავლელი მუდმივმოქმედი სემინარი, რომელშიც 24 კაცი გაერთიანდა. მათ მონდომებით მოჰკიდეს ხელი პარტიის ისტორიის შესწავლას პირველი წყაროების მიხედვით. კარგად მეცადინეობენ ი. კაპეტივაძე, ქ. ციბაძე, ქ. ტყაბლაძე და სხვ. აქტივისათვის ეწყობა აგრეთვე ლექციები ბოლშევიზმის ისტორიის, მარქსისტული ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და სხვა საკითხებზე. მოეწყო ლექციების ციკლი ლოგიკაში. პროფესორმა ა. ბოჭორიშვილმა წაიკითხა 8 ლექცია, აქედან: „ლოგიკის საგანი და ამოცანები“, „აზროვნების ლოგიკური კანონები“, „მოძღვრება ცნების შესახებ“, და სხვ. ლოგიკის ლექციების მოსმენამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია აქტივს ამხანაგ სტალინის კლასიკური ნაშრომის—„დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“—ღრმად შესწავლაში.

ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხები ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობის ღრმა ინტერესს იწვევენ. ლიტერატურა სათანადო დახმარებას გვიწევს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების დაუფლების საქმეში. მოეწყო შეხვედრა საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო პოეტ აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძესთან, აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტისტ დ. ანთაძესთან. აქტივისათვის მოვაწყვეთ ლექცია თემებზე: „როგორ იყენებს ამხანაგი სტალინი მხატვრულ ლიტერატურას“, „როგორ ვიმუშაოთ წიგნზე დამოუკიდებლად“ და სხვ.

ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიას დამოუკიდებლად სწავლობს 2.814 ახალგაზრდა. ზოგიერთი მათგანი თვალსაჩინო წარმატებასაც აღწევს. საქალაქო კომიტეტის პლენუმის წევრმა შ. ჭარხალაშვილმა დღემდე „მოკლე კურსის“ 10 თავი შეისწავლა. როცა ის სწავლობდა თემას „ბოლშევიკების პარტია უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში“, წაიკითხა ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ნახა კინოსურათები—„ლენინი ოქტომბერში“, „ჩაპაევი“, სამოქალაქო ომის გმირული ეპიზოდების გასაცნობად დაესწრო სპექტაკლს „კიკვიძე“. ამხ. ჭარხალაშვილს კარგად აქვს შეგნებული კომკავშირელი აქტივისტის მოვალეობა. ის სისტემატურად კითხულობს ლექციებს, მოხსენებებს კომკავშირის პირველადს ორგანიზაციებში, ხელმძღვანელობს მაუდის ფაბრიკაში სსრ კავშირის კონსტიტუციის შემსწავლელ წრეს.

მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს პარტკაბინეტი. წელს 15 ივნისამდე პარტკაბინეტმა ახალგაზრდობისათვის მოაწყო 24 ლექცია, მოხსენება და ჯგუფური კონსულტაცია, რომელსაც 3.000 კაცი დაესწრო. წლის პირველ ნახევარში პარტკაბინეტში ინდივიდუალური კონსულტაცია მიიღო 600-მდე კომკავშირელმა. კონსულტაციების თემატიკა მრავალფეროვანია.

ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შესწავლაში მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლიათ ბიბლიოთეკებს. კარგად მუშაობს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. აქ მოეწყო ლენინისა და სტალინის ნაწარმოებათა, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა. ბიბლიოთეკაში ეწყობა ლექციები და მკითხველთა კონფერენციები.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, საქალაქო კომიტეტს ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს პოლიტიკური სწავლების მოწყობის საქმეში. მაგალითად, ჩვენი ქალაქის სიამაყის — საავტომობილო ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციაში, სადაც 562 კომკავშირელია (მათ შორის საკმაო რაოდენობითაა რუსი ახალგაზრდობა) პოლიტიკურ სწავლებაში ჩაბმული არ არის 200-მდე კომკავშირელი. ნაკლებად ეწყობა რუსულ ენაზე ლექციები. კომკავშირის კომიტეტმა (მდივანი ამხ. ხარებავა) ჯერ კიდევ ვერ განახორციელა საჭირო ღონისძიება იმ ახალგაზრდობის სალამოს სკოლებში მისაზიდად, რომელთაც საშუალო განათლება არ აქვთ. ჩვენი ამოცანაა მეტი ყურადღება მივაქციოთ საავტომობილო ქარხანაში ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების საქმის საჭირო სიმაღლეზე აყვანას.

სახელოვან ლენინურ-სტალინურ კომკავშირს ოქტომბერში 30 წელი უსრულდება. ამ ისტორიული თარიღის შესახვედრად ემზადებიან ჩვენი ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციები. ისინი იბრძვიან სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობისათვის, რათა იუბილეს წლიური დავალების გადაჭარბებით შესრულებით შეხვდნენ.

ქუთაისის კომკავშირული ორგანიზაცია ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით და დახმარებით ღირსეულად ასრულებს მის წინაშე დასახულ ძირითად ამოცანას—შეუნელებლად იბრძოლებს კომუნისტური საზოგადოების აქტიური და შეგნებული მშენებელი თაობის აღზრდისათვის.

გ. გონგაძე

საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ამხ. ა. ი. ვიშინსკის სიტყვა დუნაის კონფერენციაზე 1948 წლის 11 აგვისტოს დილის სხდომაზე

აქ, ჩემი აზრით, უკვე საკმაოდ დაწვრილებით იქნა ჩამოყალიბებული ყველა დელეგაციის პოზიცია, რომლებიც ილაშქრებდნენ დუნაის სამდინარო ქსელის ფართო გაგების წინააღმდეგ. ვფიქრობ, ის, რაც აქ იყო ნათქვამი, თავისთავად საკმაოდ დამაჯერებელია იმისათვის, რომ უარვყოთ შეერთებული სამეფოს შესწორება, მაგრამ ზოგიერთი საკითხი მაინც გაუშუქებელი დარჩა. შევეცდები მოკლედ შევჩერდე მათზე.

1. დუნაის. მისი ტოტებისა და შენაკადების შესახებ

მეორე მუხლისადმი შეერთებული სამეფოს შესწორების პირველ პარაგრაფში ლაპარაკია იმაზე, რომ საჭიროა დუნაის სისტემაში შევიტანოთ მდინარის ყველა შესართავის სისტემა, ე. ი. არა მარტო სულინის შესართავი, როგორც ეს საბჭოთა პროექტითაა ნავარაუდევი, არამედ მდინარის ყველა შესართავი, ე. ი. სულინის ტოტის გარდა კიდევ გიორგის და კილის ტოტები. მაგრამ რა საფუძველია ამისათვის?

ფაქტიურად რატომ შეჰქონდათ აქამდე დუნაის სისტემაში მარტო სულინის არხი და არა გიორგისა და კილის ტოტები? ეს, უწინარეს ყოვლისა, აიხსნება ეკონომიური მიზანშეწონილობით დუნაის ამ ქვემო ნაწილში ნორმალური ნაოსნობის უზრუნველყოფისათვის. მართლაც, თუ მივმართავთ ცალკე ტოტებით — სულინის, გიორგისა და კილის ტოტებით წყლის საერთო შენაკადს, აღმოჩნდება, რომ იმ დროს, როცა კილის ტოტის წყლის საერთო შენაკადი 67 პროცენტს აღწევს, ე. ი. ამ ტოტის წილად მოდის მთელი იმ წყლის 67 პროცენტი, რომელიც დუნაით შავ ზღვაში შედის, და გიორგის ტოტის წილად—24 პროცენტი, სულინის ტოტის წილად მოდის მხოლოდ 9 პროცენტი. რას ნიშნავს ეს ეკონომიურად? ცნობილია, რომ რაც უფრო მეტია წყლის შენაკადი, მით უფრო მეტი დასილვა შეუძლია მდინარეს და მით უფრო მეტია შესართავის ტოტის დანაგვიანების საფრთხე. თუ ამავე დროს ტოტის სიღრმე სავსებით საკმარისია ნაოსნობისათვის, ის ტოტი უნდა ავირჩიოთ, რომელსაც წყლის ნაკლები შენაკადი აქვს. ეს ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ, რომ უნდა ავირჩიოთ სულინის არხი და არა რომელიმე სხვა. მდინარე დუნაის შესართავები დიდმნიშვნელოვანია ნაოსნობისათვის მხოლოდ მაშინ, როცა მათ საკმაო სიღრმე აქვთ საზღვაო გემების გასატარებლად. სულინის არხი სავსებით აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას, ვინაიდან გამოცხადებული სანაოსნო სიღრმე აქ 7 მეტრს შეადგენს. ეს საკმარისია ღრმად დამჯდარი საზღვაო გემების გასატარებლად. კილის ტოტში, მიუხედავად იმისა, რომ იგი წყლის შენაკადის გაცილებით მეტ პროცენტს იძლევა, სიღრმე შეადგენს მხოლოდ 1-1,2 მეტრს, ნაცვლად სულინის არხის 7 მეტრისა. ცხადია, ეკონომიურად სრულიად უსარგებლოა დუნაის სისტემაში კილის ტოტის შეტანა.

ასეთივე მდგომარეობაა გიორგის ტოტის მხრივ. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ როცა ჩვენ ახლა უნდა ავირჩიოთ რომელიმე ამ სამი ტოტიდან — სულინის, გიორგის და კილის ტოტებიდან — საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, გავითვალისწინოთ ეკონომიური მიზანშეწონილობა. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა ავირჩიოთ ის ტოტი, რომელიც ნაკლებ სახსრებს მოითხოვს მის ნორმალურ სანაოსნო მდგომარეობაში შესანახად. მაშ, რომელი ტოტია ჩვენთვის ხელსაყრელი? ცხადია, სულინის ტოტი და სულინის არხი. მაშ, რატომ მოითხოვენ დუნაის სისტემაში გიორგისა და კილის ტოტების შეტანას, როცა ეს ეკონომიურად ხელსაყრელი არ არის და აშკარად მიზანშეუწონელია? აქ, შესაძლოა, სხვა მოტივებია, გარდა ეკონომიურისა. მაგრამ ამბობენ, რომ ეს კონფერენცია, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიური კონფერენციაა. მე ვეთანხმები ამას. მაშ, მოდით ამ შემთხვევაში ვიხელმძღვანელოთ ეკონომიური მოსაზრებებით და იმით, რასაც საბჭოთა პროექტი ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში საჭიროა მივიღოთ საბჭოთა პროექტის მეორე მუხლი, სადაც ნათქვამია:

„ამ კონვენციით დაწესებული რეჟიმი ვრცელდება მდინარე დუნაის სანაოსნო ნაწილზე ულმიდან შავ ზღვამდე, სულინის შესართავის ტოტის გავლით და სულინის არხით ზღვამდე“.

რაღა საჭიროა ისეთი შესწორებების შეტანა, როგორიც არის ინგლისის შესწორება მდინარის **ყველა** შესართავის შესახებ, ე. ი. კილიისა და გიორგის ტოტების შესახებაც? ამისათვის არავითარი საფუძველი არ არის.

ასეთია პირველი საკითხის ვითარება.

მეორე საკითხია შესართავების სანაოსნო თვისებების საკითხი. მე დაწვრილებით არ ვილაპარაკებ იმაზე, თუ რომელია ამ შესართავიდან სანაოსნო და რომელი არა. მე მხოლოდ ის მინდა აღვნიშნო, რომ უკანასკნელი ცნობებით მდინარე ტაია სრულიად არ არის სანაოსნო, მდინარე მორავა, რომელიც ოდესღაც სანაოსნო იყო, ახლა მთელ თავის სიგრძეზე სრულიად არ არის სანაოსნო, გარდა იმ შესართავისა, სადაც კარჭაპები შედიან ქვისათვის; მდინარე ტისა ჩეხოსლოვაკიის უბანზე ახლა მართლაც სანაოსნო არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მდინარე სანაოსნოა დანარჩენ ნაწილში და დუნაის ყველაზე მნიშვნელოვან და მთავარ შენაკადს წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა განისაზღვროს, რას წარმოადგენს ტისა საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით. მაგრამ წინასწარ ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი იმის დამატებად, რაც უკვე სხვა დელეგაციების წარმომადგენლებმა სთქვეს სავაჭრო გემთბრუნვის თვალსაზრისით მდინარე ტისის დასახასიათებლად. ხუთწლედის მანძილზე 1934-1938 წლამდე ტისის ყველაზე მნიშვნელოვანი ნავსადგურით — სეგედით გადიოდა საშუალოდ 200 ათასამდე ტონა ტვირთი, მაშინ როცა დუნაით საერთოდ გადიოდა რამდენიმე მილიონი ტონა ტვირთი. არადუნაისპირა ქვეყნებიდან ამ ტვირთბრუნვაში 1938 წლამდე საფრანგეთის მონაწილეობა უდრის მთელი ტვირთბრუნვის 5,5 პროცენტს. ეს რას ნიშნავს? ეს ნიშნავს, რომ ტისაზე საფრანგეთის ალმით 1938 წელს გაიარა 11 ათასმა ტონა ტვირთმა ე. ი. სულ დაახლოებით 25 კარჭაპმა. ეს თავის მხრივ ნიშნავს, რომ ტისაზე თვეში გადიოდა 2-3 ფრანგული კარჭაპი. აი როგორ ხასიათდება ტისაზე სავაჭრო ნაოსნობის საფრანგეთის ინტერესები, თვეში აი ამ ორი-სამი კარჭაპის გამო სტეხენ მთელ დავას იმის შესახებ, რომ ტისა შეტანილ იქნას დუნაის სისტემაში. ხომ არ მოწმობს ეს იმას, რომ პრეტენზიები მდინარე ტისაზე, როგორც დუნაის სამდინარო სისტემის ერთ-ერთ ელემენტზე, არ შეიძლება გამართლებულ იქნას საფრანგეთის ეკონომიური ინტერესების თვალსაზრისით? მაშასადამე, გარდა ეკონომიური მოტივებისა, არის სხვა მოტივებიც. ეს მოტივები სავსებით ცხადია და მე არ შემიძლია მათზე შეჩერება.

2. დუნაის სისტემაში მის შენაკადთა შეტანის წინააღმდეგ

მესამე, რაც დღეს ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს, ეს ის არის, თუ როგორ იდგა დუნაის შენაკადების საკითხი რუმინეთთან, უნგრეთთან და ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულებების მომზადებისას, როგორია ამ საკითხის ახლო ისტორია? ამ საკითხის შესახებ ჩვენ გვაქვს რამდენიმე დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი. აი ერთი მათგანი. ეს არის ბალკანეთისა და ფინეთისათვის შექმნილი ეკონომიური კომისიის 1946 წლის მოხსენება რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის შესახებ. გარდა ამისა, არის რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების 34-ე მუხლის პირვანდელი პროექტი, რომელიც წამოაყენეს დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციებმა. ეს პროექტი შეიცავს ამერიკისა და ინგლისის დელეგაციების წინადადებას, რომელიც შეეხება მდინარე დუნაიზე და მის შემაერთებელ არხებზე ნაოსნობას. აი ამ წინადადების ტექსტი:

„1. მდინარე დუნაიზე და მის სანაოსნო შენაკადებსა და შემაერთებელ არხებზე ნაოსნობა თავისუფალი და ღია უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს მოქალაქეთა, სავაჭრო გემებისა და საქონლის სრული თანასწორობის პირობით“.

მე ახლა ვიღებ ამ პროექტის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება მხოლოდ შენაკადებსა და არხებს. ამ პროექტიდან სჩანს, რომ ინგლისისა და ამერიკის დელეგაციები თავდაპირველად მოითხოვდნენ დუნაის სამდინარო ქსელში შენაკადებისა და შემაერთებელი არხების შეტანას. მაგრამ როგორი იყო ამ წინადადების შემდგომი ბედი? ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუნდაც უკვე ზემოაღნიშნული ეკონომიური კომისიის მოხსენებით, რომელშიც ამის შესახებ ჩაწერილია შემდეგი:

„რაც შეეხება შეერთებული სამეფოსა და ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას (ე. ი. იმ ტექსტს, რომელიც მე ახლა გამოვაქვეყნე), ორივე ამ დელეგაციამ მოხსნა თავისი წინანდელი წინადადება და შეუერთდა ახალ წინადადებას, რომელიც საფრანგეთის დელეგაციამ შემოიტანა“.

ძალიან ვწუხვარ, რომ აქ არ არის არც საფრანგეთის დელეგაციის შეფი და არც მისი მოადგილე.

მაშ ასე, შეერთებული სამეფოს და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციები შეუერთდნენ ახალ წინადადებას, რომელიც საფრანგეთის დელეგაციამ შემოიტანა, და მოხსნეს თავიანთი წინადადება.

როგორია საფრანგეთის ეს წინადადება? იგი აქ არის მოყვანილი. აი მისი ტექსტი:

„1. მდინარე დუნაიზე ნაოსნობა თავისუფალი და ღია უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს მოქალაქეთა, სავაჭრო გემებისა და საქონლის სრული თანასწორობის პირობით“.

რა განსხვავებაა საფრანგეთის ამ ახალ წინადადებასა და ინგლის-ამერიკის წინადადებას შორის? ის, რომ სიტყვები „და მის სანაოსნო შენაკადებსა და შემაერთებელ არხებზე“ — ამოშლილია.

ამრიგად, ჯერ გვთავაზობდნენ დუნაის სისტემაში შეგვეტანა მდინარე დუნაი პლუს შენაკადები, პლუს შემაერთებელი არხები. შემდეგ ამერიკელებმა და ინგლისელებმა ამაზე უარი სთქვეს, მოხსნეს ეს წინადადება და შეუერთდნენ საფრანგეთის წინადადებას, რომელშიც რჩებოდა დუნაი, მაგრამ შენაკადებისა და შემაერთებელი არხების გამოკლებით. ახლა ჩვენ ვუბრუნდებით ძველს, კვლავ მეორდება ინგლის-ამერიკის წინადადება.

ამერიკისა და ინგლისის დელეგაციები, რომლებსაც ახლა საფრანგეთის დელეგაცია შეუერთდა, კვლავ ცდილობენ, რომ დუნაის სამდინარო ქსელის ცნებაში შეიტანონ შენაკადები და არხები, თუმცა ცნობილია, რომ რუმინეთთან, უნგრეთთან და ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულებების იმ მუხლებში, სადაც ლაპარაკია დუნაიზე, ნათქვამი არ არის არც მის შენაკადებზე, არც მის არხებზე. ცხადი უნდა იყოს, რომ რუმინეთთან, უნგრეთთან და ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულებებში მარტო დუნაის ხსენება შენაკადებისა და არხების გამოკლებით შემთხვევითი არ არის. ასეთი ტექსტი შედეგი იყო ამ საკითხის ხანგრძლივი განხილვისა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში და ბალკანეთისა და ფინეთის ეკონომიურ კომისიაში, და წარმოადგენს იმ შეთანხმების შედეგს, რომელიც ამ საკითხზე მიღწეულ იქნა ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის, ხოლო შემდეგ პარიზის 1946 წლის საზავო კონფერენციის მონაწილე ყველა 21 სახელმწიფოს შორისაც.

3. რამდენიმე სიტყვა ბარსელონის კონვენციის პრინციპის შესახებ

აქ ლაპარაკობდნენ ბარსელონის კონვენციის შესახებ, კერძოდ იმის შესახებ, რომ ბარსელონის კონვენციაში არის მე-2 მუხლი, რომელიც შეიცავს შენიშვნას იმის შესახებ, რომ ეს კონვენცია არავითარ ზიანს არ აყენებს იმ უფლებებსა და მოვალეობას, რაც გამომდინარეობს ვერსალის 1919 წლის საზავო ხელშეკრულებიდან, ან სხვა ანალოგიური ხელშეკრულებათა დადგენილებებიდან, რასაც, სხვათა შორის, ითვალისწინებს დუნაის 1921 წლის კონვენციაც.

ბარსელონის კონვენციაში ასეთი მუხლი სავსებით ბუნებრივია, თუ მხედველობიდან არ გამოუშვებთ, რომ იგი მიღებულ იქნა „ვერსალის ეპოქაში“, ე. ი. იმ ეპოქაში, როცა საერთაშორისო-უფლებრივ დარგში და საერთოდ საერთაშორისო ურთიერთობაში ბატონობდა ვერსალის სული, რომელმაც თავისი დაღი დაასვა ბარსელონის კონვენციასაც. ახლა სურთ ბარსელონის კონვენციის ეს მე-2 მუხლი, მიუხედავად მთელი მისი სპეციფიკური ხასიათისა, გამოიყენონ იმისათვის, რომ გაამართლონ თავიანთი წინადადება დუნაის სამდინარო სისტემაში დუნაის შენაკადების შეტანის შესახებ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მაშინ როცა ადგენდნენ 34-ე მუხლს და რუმინეთთან, უნგრეთთან და ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულებათა მის შესაბამის მუხლებს და შეთანხმებული იყო ამ მუხლების ტექსტი ყოველგვარი შენაკადებისა და არხების მოუხსენიებლად, მაშინ ლაპარაკიც არ ყოფილა ბარსელონის კონვენციაზე. როგორც სჩანს, არც თუ მოსახერხებელი იყო 1946 წელს მეორე მსოფლიო ომის დამამთავრებელ საზავო ხელშეკრულებათა შედგენისას, მოეთხოვათ იმ პრინციპებზე დამყარება, რომლებზეც აშენებდნენ 1919 წელს პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელ საზავო ხელშეკრულებათა ვერსალის სისტემას. მაშინ, როგორც სჩანს, ძალიან უხერხული იყო ამ ვერსალელი შორეული ნათესავების გახსენება.

დიდი მნიშვნელობა აქვს აღვნიშნოს, რომ იხსენებენ რა ბარსელონის კონვენციას, აქედან იღებენ სახელდობრ მეორე მუხლს შენაკადებისა და არხების შესახებ, რათა სცადონ ახლანდელ კონვენციაში დუნაის ნაოსნობის რეჟიმის შესახებ გაატარონ ისეთი შესწორება, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება რუმინეთთან, ბულგარეთთან და უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებათა შესაბამის მუხლებს. უფრო მეტიც, ბარსელონის კონვენციის მე-2 მუხლი ეწინააღმდეგება თვით ბარსელონის კონვენციას, და სახელდობრ, საერთაშორისო მნიშვნელობის სანაოსნო გზების რეჟიმის სტატუტის უმნიშვნელოვანეს პირველ მუხლს. ამ მუხლში, და სახელდობრ „C“ პუნქტში ნათქვამია, რომ „შენაკადები განხილულ უნდა იქნას როგორც ცალკე სანაოსნო გზები“. ეს ბარსელონის კონვენციით დადგენილი ძირითადი პრინციპია. ეს პრინციპი უარჰყოფს საერთაშორისო მნიშვნელობის ევროპული მდინარის სისტემაში შენაკადების შეტანის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში შეუძლებელია „დუნაის“ ცნებაში შევიტანოთ ტისა, გრავა, მორავა, ტაია და სხვა შენაკადები.

აქ ნათქვამი იყო, რომ ბარსელონის კონვენცია რატიფიცირებულ იქნა დუნაის ახლანდელი კონფერენციის მონაწილე 6 სახელმწიფოს მიერ. მართლაც, ბარსელონის კონვენცია რატიფიცირებულ იქნა ინგლისის, საფრანგეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის მიერ, რომლებიც აქ ესწრებიან. მაგრამ არც სსრ კავშირს, არც ამერიკის შეერთებულ შტატებს არ მოუხდენიათ ამ კონვენციის რატიფიკაცია. რაც შეეხება სსრ კავშირს, ეს საკმარისია იმისათვის, რომ მას ყველა საფუძველი ჰქონდეს არ მიიღოს მითითება ბარსელონის კონვენციის მე-2 მუხლზე, რომელიც საბჭოთა კავშირისათვის სავალდებულო არ არის. მაგრამ ახლა საქმე არც ის არის, სცნობს თუ არ სცნობს სსრ კავშირი ბარსელონის კონვენციას. საქმე უფრო ის არის, რათა ცხადვყოთ, რომ იმათაც კი, ვინც ბარსელონის კონვენციას ემყარება, უფლება არა აქვთ უგულებელჰყონ პირველი მუხლი და კერძოდ მისი „C“ პუნქტი, რომელიც პირდაპირ გამორიცხავს საერთაშორისო მდინარის შენაკადების საკითხის თვით ამ საერთაშორისო მდინარის შესახებ კონვენციასთან დაკავშირების შესაძლებლობას. ჩვენ გვთავაზობენ ვიხელმძღვანელოთ არა იმ პრინციპით, რომელიც ბარსელონის კონვენციაშია მოყვანილი და რომელიც ამ კონვენციის მთავარი პრინციპია, არამედ ამ პრინციპის იმ გადახვევით, რომელიც ეწინააღმდეგება ყოველგვარ ლოგიკას, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საფუძვლებს და მხოლოდ ვერსალის სისტემის, ვერსალის სულის პოლიტიკური გავლენის შედეგია.

მაშ ასე, თუ ბარსელონის კონვენციით ვისარგებლებთ, არ შეიძლება უგულებელვყოთ ამ კონვენციის ძირითადი პრინციპი, არ შეიძლება ავიღოთ როგორც მთავარი არა ეს პრინციპი, არამედ შენიშვნა, რომელსაც მხოლოდდამხოლოდ დროებითი ხასიათი აქვს, და ნაკარნახევი იყო იმ სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესებით, რომლებიც იმ დროს ტონს აძლევდნენ მთელ მსოფლიო საგარეო პოლიტიკას.

მსურს ნათქვამს დავსძინო შემდეგი მოსაზრებანი: ბარსელონის კონვენციის მე-2 მუხლის საკითხი შეიძლებოდა განხილულიყო სხვა მხრივაც, მე ვიტყოდი მეთოდოლოგიური მხრივ. ამ მხრივ მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მეორე მუხლი შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ საჭიროა საერთაშორისო მნიშვნელობის სანაოსნო გზების რეჟიმის სტატუტის დაწესებისას ვიზრუნოთ, რათა შესაბამისმა კონვენციამ არავითარი ზიანი არ მიაყენოს იმ უფლებებსა და ვალდებულებებს, რაც გამომდინარეობს ვერსალში 1919 წლის 28 ივნისს ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების დადგენილებიდან და სხვა.

აქ, მე მგონია, ნათლად არის გამოხატული ბარსელონის კონვენციის მეორე მნიშვნელოვანი პრინციპიც, სახელდობრ—ისე ავაგოთ საერთაშორისო მნიშვნელობის სანაოსნო გზების ომისშემდგომი სისტემა, რომ არ შეილახოს ომის დამთავრებასთან დაკავშირებული საზავო ხელშეკრულებების დადგენილებებიდან გამომდინარე უფლებანი და ვალდებულებანი. ეს პრინციპი, ამ შემთხვევაში, დუნაისა და მისი შენაკადების საკითხთან, დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის საკითხთან დაკავშირებით რომ გამოვიყენოთ, დაგვაკისრებდა ანგარიში გაგვეწია იმ პირობებისათვის, რომლებიც შეიქმნა ომის დამთავრების შედეგად და რომლებმაც თავისი ბუნებრივი გამოხატულება ჰპოვეს 1946 წლის საზავო ხელშეკრულებებში. თუ დავემყარებით არა ბარსელონის კონვენციის ფორმას, არამედ იმ პრინციპს, რომელიც მის პირველ და მეორე მუხლებშია გამოხატული, ეს ნიშნავს, რომ ახალი კონვენცია დუნაის ნაოსნობის რეჟიმის შესახებ უნდა შეესაბამებოდეს დუნაისპირა სახელმწიფოებთან საზავო ხელშეკრულებების იმ დებულებებს („უფლებებსა და ვალდებულებებს“, როგორც ეს ბარსელონის კონვენციაშია ნათქვამი), რომლებიც ამ პრობლემას შეეხებიან. ბარსელონის კონვენციის პირველ მუხლთან დაკავშირებით მეორე მუხლის მხოლოდ ასეთი გაგება შეესაბამება საერთაშორისო სამართლის მეცნიერების ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს.

ასეთი განმარტება სავსებით შეესაბამება ამ საკითხის გაგებას საერთაშორისო სამართლის თვალსაჩინო თეორეტიკოსების, მათ შორის ინგლისური სკოლის თეორეტიკოსების ნაშრომებში. აქ უკვე იმოწმებდნენ ოპენჰაიმს. სამწუხაროდ, ხაზგასმით არ ყოფილა აღნიშნული განმარტების ის თავისებურება, რომელსაც ოპენჰაიმი აძლევს საერთაშორისო მდინარის ცნებას; ეს თავისებურება ის არის, რომ საერთაშორისო მდინარედ შეიძლება ცნობილ იქნას მხოლოდ ის მდინარე, რომელიც **უშუალოდ უკავშირდება ზღვას.**

შენაკადები, ბუნებრივია, ასეთ როლს არ ასრულებენ, ისინი უშუალოდ არ უკავშირდებიან ზღვას და უკვე ამიტომ ისინი არ ეკუთვნიან საერთაშორისო მდინარეებს იმ გაგებით, როგორც ეს განმარტებულია საერთაშორისო სამართლის თეორიით, არამედ ეკუთვნიან ეგრეთ წოდებულ მრავალეროვან მდინარეებს. ნაოსნობა ამ მდინარეებზე უნდა მოწესრიგდეს არა საერთაშორისო კონვენციის დადებით, არამედ უშუალოდ დაინტერესებულ ქვეყნებს შორის კონვენციების დადებით. არც ტისა, არც დრავა, არც, მით უმეტეს, დუნაის სხვა უფრო მცირე შენაკადები არ წარმოადგენენ საერთაშორისო მდინარეებს, ისინი წარმოადგენენ მრავალეროვან მდინარეებს. ისინი არ მიდიან ზღვისაკენ და არ მოდიან ზღვიდან. ისინი ემსახურებიან უმთავრესად საშინაო ნაოსნობისა და იმ ნაოსნობის ინტერესებს, რომელიც განისაზღვრება იმ სახელმწიფოთა ინტერესებით, რომელთა ტერიტორიაზეც ისინი გადიან ან რომელთა ტერიტორიას ისინი ჰყვეთენ ზღვაზე გაუსვლელად. ინგლისის სამართლის ავტორიტეტებიც და ბარსელონის კონვენციაც, ამრიგად, ერთნაირად აფასებენ შენაკადებს მთავარი მდინარის სისტემაში მათი შეტანის შესაძლებლობის თვალსაზრისით. საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაც და პრაქტიკაც, როგორც ვხედავთ, უარყოფით პასუხს იძლევა კითხვაზე — უნდა შევიტანოთ თუ არა მთავარი მდინარის შენაკადები სათანადო სამდინარო სისტემაში. არც პრაქტიკული, არც ეკონომიური, არც მეცნიერულ-უფლებრივი თვალსაზრისით, არავითარი საფუძველი არ არის შენაკადები შევიტანოთ დუნაის სისტემაში.

* * *

დასასრულ უნდა მოგაგონოთ, რომ დუნაის სისტემაში შენაკადებისა და არხების შეტანის აზრს ძალიან მალე დაანებეს თავი თვით ამ წინადადების ინიციატორებმა—ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა, რომ მიღწეულ იქნა სრული თანხმობა ცნება „დუნაის“ შესახებ და რომ ამან თავისი გამოხატულება ჰპოვა რუმინეთთან, ბულგარეთთან და უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებების შესაბამის მუხლებში. სწორედ ყველა ეს გარემოება გახდა საფუძველი იმისათვის, რომ საბჭოთა დელეგაციას დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის კონვენციის თავის პროექტში ცნება „დუნაი“ განესაზღვრა ამის შესახებ ოთხ დიდ სახელმწიფოთა და ყველა იმ სახელმწიფოს შორის შეთანხმების სრული შესაბამისობით, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ პარიზის 1946 წლის კონფერენციაში და დაეთანხმნენ ბულგარეთთან და უნგრეთთან საზავო ხელშეკრულებათა შესაბამისი მუხლების ტექსტს.

ასეთია ის საბუთები, ასეთია ის პრაქტიკული და თეორიული მოსაზრებანი, რომლებითაც ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირი, როცა კონვენციის თავისი პროექტის მე-2 მუხლში წინადადებას იძლეოდა არაფერი თქმულიყო დუნაის არც შენაკადებზე, არც შემაერთებელ არხებზე, არც „ყველა“ შესართავზე. ასეთია საბუთები, რომლის ძალითაც საბჭოთა დელეგაცია წინააღმდეგია მეორე მუხლში იმ შესწორებათა შეტანისა, რომლებიც ინგლისის დელეგაციამ წარმოადგინა.

დუნაის კონფერენციაზე

კონვენციის საბჭოთა პროექტის განხილვა გენერალურ კომიტეტში

ბელგრადი, 12 აგვისტო. (საქინფორმის სპეც. კორ.). გუშინდელ საღამოს სხდომაზე გენერალურმა კომიტეტმა ა. ზებლერის (იუგოსლავია) თავმჯდომარეობით დაამთავრა კონვენციის საბჭოთა პროექტის მე-2 მუხლის განხილვა, რომლის შესაბამისად ამ კონვენციის მიერ დადგენილი ნაოსნობის რეჟიმი უნდა გავრცელდეს მდინარე დუნაის სანაოსნო ნაწილზე ულმიდან შავ ზღვამდე, სულინის შესართავის ტოტის გავლით, სულინის არხით ზღვამდე. როგორც ვიუწყებოდით, ინგლისის დელეგაციამ შესწორება შეიტანა ამ მუხლისათვის და მოითხოვა, რომ დუნაი ყველა მისი შესართავიანად, აგრეთვე დუნაის შენაკადები და შემაერთებელი არხები განხილულ იქნას როგორც „ინტერნაციონალიზებული სამდინარო ქსელი“.

საფრანგეთის დელეგატი ა. გრო, რომელმაც მხარი დაუჭირა ინგლისის წინადადებას, ყოველნაირად ცდილობდა ისე დაესახა საქმე, თითქოს დუნაისპირა ქვეყნების წარმომადგენლები... უარს ამბობენ სხვა სახელმწიფოებთან ეკონომიურ ურთიერთობაზე, და რომ მხოლოდ დასავლეთი სახელმწიფოები იცავენ დუნაიზე ნაოსნობის თავისუფლებას. მხარი დაუჭირა რა ინგლისის წინადადებას, გრო ცდილობდა დამყარებოდა ბრიტანელი იურისტის ოპენჰაიმის ავტორიტეტს. მან ამ იურისტის წიგნიდან წაიკითხა ერთი ფრაზა, რომელიც შეეხება მდინარეებზე ნაოსნობის თავისუფლების პრინციპის გამოყენების საკითხს. მაგრამ ამასთან გრომ აშკარად დაამახინჯა აზრი, როცა შეჩერდა შემდეგი ფრაზის დასაწყისთან. ეს ფრაზა ცხადყოფს, რომ თვითონ ოპენჰაიმი აღიარებს, რომ მდინარეებზე ნაოსნობის თავისუფლება საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპი არ არის. ამას კომიტეტის წევრების ყურადღება მიაპყრო საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ. მან გამოაქვეყნა ოპენჰაიმის აზრის ის ნაწილი, რომელიც საფრანგეთის დელეგატმა გამოსტოვა.

ბრიტანეთის დელეგატმა ჩ. პიკმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი წინანდებურად დაჟინებით მოითხოვს ძალაში დარჩეს 1921 წლის კონვენცია და რომ ამ კონფერენციაში დიდი ბრიტანეთის მონაწილეობას „სრულიადაც არ შეუძლია შეცვალოს ან შესცვალოს ის უფლება-მოვალეობანი, რომლებიც შეერთებულ სამეფოს ეკისრება 1921 წლის კონვენციის საფუძველზე“.

პიკის ეს გამოსვლა რამდენადმე უცნაურად გაისმა მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის დელეგაციამ კონფერენციის უკანასკნელ პლენარულ სხდომაზე შემდგომი მუშაობის საფუძვლად მიიღო ახალი კონვენციის საბჭოთა პროექტი.

მას შემდეგ, რაც გამოვიდა კ. კენონი (ამერიკის შეერთებული შტატები), რომელმაც მხარი დაუჭირა ბრიტანეთის შესწორებას, კომიტეტი კენჭისყრას შეუდგა. ბრიტანეთის შესწორება უარყოფილ იქნა. კომიტეტმა მოიწონა საბჭოთა პროექტის მე-2 მუხლი. დამსწრენი გააკვირვა იმან, რომ დასავლეთ სახელმწიფოთა დელეგაციებმა სხვადასხვანაირად მისცეს ხმა. ბრიტანეთის შესწორებას ხმა მისცეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებმა. საფრანგეთის დელეგაციის კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია. როცა კენჭი უყარეს საბჭოთა პროექტის მე-2 მუხლს, მის წინააღმდეგ ხმა მისცა ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ; დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა უარი სთქვეს კენჭისყრაში მონაწილეობაზე.

შემდეგ კენჭი უყარეს და მიიღეს საბჭოთა პროექტის მე-3 მუხლი, რომელიც შეეხება დუნაისპირა სახელმწიფოთა ვალდებულებებს დუნაის მათი უბნების სანაოსნო მდგომარეობაში შენახვის მხრივ. ამ მუხლში შესწორება არ შეუტანიათ. მუხლს ხმა მისცეს ყველა დუნაისპირა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან, ხოლო საფრანგეთის დელეგატს კვლავ არ მიუღია მონაწილეობა კენჭისყრაში.

საღამოს სხდომის დასასრულ გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის დელეგატი ი. ხორვატი და უნგრეთის დელეგატი ე. მოლნარი, რომლებმაც დაასაბუთეს ჩეხოსლოვაკია-უნგრეთის ერთობლივი შესწორება საბჭოთა პროექტის მე-4 მუხლისათვის. ამ მუხლში ლაპარაკია ნორმალური ნაოსნობის შესანარჩუნებელ ისეთ სამუშაოებზე, რომლებსაც რომელიმე დუნაისპირა სახელმწიფო თვითონ ვერ შეასრულებს; ასეთ სამუშაოთა შესრულება, მე-4 მუხლის თანახმად, უნდა გადაეცეს დუნაის კომისიას. ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გაბჩიკოვოსა და გენიუს შუა დუნაის უბანზე ნაოსნობის განსაკუთრებით ძნელი, ბუნებრივი პირობებია, რომლებიც დიდ ხარჯებს მოითხოვენ მდინარის ამ უბნის სათანადო მდგომარეობაში შესანახავად. მათ წინადადება შეიტანეს, რომ ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა აღიარონ, რომ „ამ უბნის სათანადო მდგომარეობაში შენახვა საერთო ინტერესს წარმოადგენს და რომ ამისათვის საჭირო სამუშაოები ბევრად სცილდება იმ სამუშაოთა ფარგლებს, რომლებიც შეიძლება გონივრულად მოეთხოვოთ შესაბამის დუნაისპირა ქვეყნებს“. უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები მოითხოვენ აგრეთვე, რომ დუნაის კომისიამ, რომელიც შესამუშავებელი კონვენციის შესაბამისად იქმნება, განიხილოს და გადასწყვიტოს საკითხი — აღნიშნული მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილი იქნება თუ არა გაბჩიკოვო-გენიუს უბნისათვის სპეციალური სამდინარო ადმინისტრაციის დაარსება ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

დუნაის კომისიის შემადგენლობის საკითხის განხილვა

ბელგრადი, 12 აგვისტო. (საქინფორმის სპეც. კორ.). დღეს დილით გენერალურმა კომიტეტმა ე. კამენოვის (ბულგარეთი) თავმჯდომარეობით მოიწონა დუნაიზე ნაოსნობის რეჟიმის შესახებ კონვენციის საბჭოთა პროექტის მე-4 მუხლი. საბჭოთა პროექტის მე-4 მუხლს ხმა მისცეს ყველა დუნაისპირა ქვეყნის წარმომადგენლებმა. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ თავი შეიკავა, ხოლო ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ. გაბჩიკოვო-გენიუს უბანზე ნაოსნობის დაცვის წესრიგის შესახებ ჩეხოსლოვაკია-უნგრეთის წინადადებაზე გადაწყვეტილების მიღება გადაიდო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის თხოვნით.

შემდეგ გენერალური კომიტეტი გადავიდა დუნაის კომისიის შემადგენლობის საკითხის განხილვაზე. საბჭოთა პროექტის მე-5 მუხლის შესაბამისად, ამ კომისიაში უნდა შევიდეს დუნაისპირა ქვეყნების თითო წარმომადგენელი; რაც შეეხება ავსტრიას, მისი წარმომადგენელი კომისიაში უნდა შევიდეს ავსტრიასთან საზავო ხელშეკრულების საკითხის მოწესრიგების შემდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა თავისი შესწორებანი წარმოადგინეს. ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი მოითხოვენ დუნაის კომისიაში შეყვანილ იქნან შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს კომისიაში გერმანიის შეყვანას „გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ან მანამდე იმ სახელმწიფოთა შეთანხმებით, რომელნიც ამ კონვენციაში მონაწილეობენ“. ხოლო, სამივე დასავლეთი სახელმწიფოს დელეგაციები დაჟინებით მოითხოვენ დუნაის კომისიაში ავსტრიის დაუყოვნებლივ შეყვანას.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატმა თავისი შესწორების დასაცავად წამოაყენა თეზისი, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა

(დასასრული მე-4 გვერდზე)

დუნაის კონფერენციაზე

(დასასრული)

მონაწილეობა უნდა მიიღონ დუნაის კომისიაში იმიტომ, რომ მათ „საბჭოთა კავშირთან ერთად აკისრიათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ევროპაში მშვიდობის მოწესრიგებისათვის". ამერიკის დელეგატის შემდგომი მსჯელობიდან ნათელი გახდა, რომ მას მეტად თავისებურად ესმის ეს პასუხისმგებლობა. მან ნართაულად მოიხსენია „მარშალის გეგმა" და სთქვა: „ჩვენი დაინტერესება ევროპის ეკონომიური კეთილდღეობითა და პროგრესით საერთო ხასიათისაა. იგი არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი რაიონით".

შემდეგ ამერიკის დელეგატმა სთქვა, რომ „შეერთებული შტატები პირდაპირ დაინტერესებული არიან დუნაიზე ნაოსნობით, მისი როგორც გერმანიის იმ ნაწილის მოკუპირებელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამო, რომელზეც სანაოსნო დუნაი გადის". ამასთან მან საქმე ისე წარმოადგინა, თითქოს მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ გერმანიის წარმომადგენელი იყონ დუნაის კომისიაში.

საწინააღმდეგოდ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს 1946 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებისა, რომლის შესაბამისადაც ავსტრიას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დუნაის პრობლემის გადაჭრაში მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოგვარებულ იქნება მასთან საზავო ხელშეკრულების საკითხი, ამერიკის დელეგატი დაჟინებით მოითხოვდა დაუყოვნებლივ შეყვანილ იქნას ავსტრია კონვენციის მონაწილეთა და დუნაის კომისიის წევრთა შემადგენლობაში. იგი მოითხოვდა აგრეთვე, რომ გერმანია „დაშვებულ იქნას დუნაის კომისიაში სრული და თანასწორი მონაწილეობისათვის ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მასთან დადებული საზავო ხელშეკრულება ძალაში შევიდოდეს".

ამერიკის დელეგატმა განაცხადა, რომ „შეერთებული შტატები დაჟინებით არ მოითხოვენ თავის მუდმივ წევრობას კომისიაში" და რომ ისინი „მზად იქნებიან უარი სთქვან თავის ადგილზე" იმ დროისათვის, როცა ავსტრია და გერმანია კომისიის წევრები გახდებიან და როდესაც მიღებულ იქნება „არადუნაისპირა სახელმწიფოთა სათანადო წევრობის პირობები".

იუგოსლავიის დელეგატმა ა. ბებლერმა გაკვირვება გამოსთქვა იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ცდილობს დუნაის კომისიაში მონაწილეობის თავისი პრეტენზიები დაასაბუთოს იმის დამოწმებით, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს პასუხისმგებლობა აკისრიათ მშვიდობის დაცვისათვის. მან გაიხსენა, რომ პასუხისმგებლობა მშვიდობის შენარჩუნებისათვის ეკისრებათ ისეთ ორგანოებს, როგორიცაა უშიშროების საბჭო და საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები წარმოდგენილი არიან. ბებლერმა განაცხადა, ამგვარი არგუმენტები გულწრფელი არ არის.

ბებლერმა აღნიშნა, რომ „სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობარი საერთაშორისო სამართლის დარგში" ითვალისწინებს, რომ ამერიკის კონტინენტის მდინარეთა მართვა უნდა იყოს მხოლოდ ამერიკის სახელმწიფოთა ხელში, და იკითხა, რატომღა აცხადებენ ამერიკელები პრეტენზიას — მონაწილეობა მიიღონ დუნაის მართვაში, რომელიც დუნაისპირა ქვეყნების ტერიტორიაზე გადის? იუგოსლავიის დელეგატმა აზრი გამოსთქვა ამერიკის შესწორების წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებას დუნაის კომისიის შემადგენლობის შესახებ.

რუმინეთის დელეგაციის მეთაური ა. პაუკერი ამერიკის შესწორების წინააღმდეგ გამოვიდა და დაწვრილებით გააშუქა დუნაის კომისიის ისტორია. პაუკერმა უპასუხა ამერიკის დელეგატს, რომელმაც სთქვა: ამერიკის შეერთებულ შტატებს სურთ მხოლოდ „დროებით" შევიდნენ კომისიაში, და გაიხსენა, რომ 1856 წელს შექმნილ დუნაის ძველ კომისიაში ინგლისი და საფრანგეთი აგრეთვე „დროებით" შევიდნენ, მაგრამ ამას ხელი როდი შეუშლია მათთვის ბატონ-პატრონები გამხდარიყვნენ დუნაიზე. პაუკერმა გაიხსენა აგრეთვე, რომ 1921 წლის ძველი არათანასწორუფლებიანი კონვენცია ძალით მოახვიეს თავს დუნაისპირა სახელმწიფოებს. მან მოიყვანა ამონაწერები 1921 წლის პარიზის კონფერენციაზე ბულგარეთის, უნგრეთის, იუგოსლავიისა და რუმინეთის წარმომადგენელთა სიტყვებისა, რომლებშიც პროტესტს აცხადებდნენ მათი სუვერენული უფლებების დამრღვევი კონვენციის წინააღმდეგ.

პაუკერი შეეხო დასავლეთი სახელმწიფოების წარმომადგენელთა მოთხოვნას, რომ დუნაის კომისიაში დაუყოვნებლივ შეყვანილ იქნას ავსტრია, და სთქვა: „მაგრამ 1921 წელს შექმნილ ევროპის დუნაის კომისიაში ავსტრია ხომ არ შედიოდა. მაშინ ყველა დუნაისპირა სახელმწიფოთაგან ამ კომისიაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ რუმინეთი. მიუხედავად ამისა, ავსტრია არავის არ მოუგონებია. ახლა კი, როცა კომისია იქმნება „დუნაისპირა" ქვეყნების წარმომადგენელთაგან, ჩვენ გვეუბნებიან: თუ ავსტრიის დელეგატმა კომისიაში მონაწილეობა არ მიიღო, მას ერთი დღითაც კი მუშაობა არ შეეძლებაო".

ამერიკის დელეგატის განცხადების გამო, თითქოს ამერიკის შეერთებულ შტატებს დუნაის კომისიაში შესვლა სურთ იმისათვის, რომ წარმოადგინონ ინტერესები გერმანიისა, რომლის ტერიტორიაზეც დუნაი გადის, პაუკერმა სთქვა:

— უცნაური რამ იქნებოდა, დუნაის კომისიაში რომ წარმოდგენილი ყოფილიყვნენ არა სახელმწიფონი მთლიანად, არამედ მათი ცალკე ნაწილები. არ შეიძლება ლაპარაკი გერმანიაზე როგორც მთლიან ერთეულზე მანამდე, სანამ მასთან არ დადებულა საზავო ხელშეკრულება და სანამ არ შექმნილა გერმანიის საერთო მთავრობა. ამავე დროს ცნობილია, რომ სწორედ შეერთებული შტატები და მათი მხარდამჭერი ინგლისი და საფრანგეთი თავისი გამთიშველი მოქმედებით ყოველნაირად აყოვნებენ საზავო ხელშეკრულების მომზადებას და აბრკოლებენ გერმანიის ერთიანობის განხორციელებას.

პაუკერმა მხარი დაუჭირა საბჭოთა პროექტის მე-5 მუხლს.

ბრიტანეთის დელეგატმა ჩ. პიკმა აღიარა, რომ მისი შესწორება არსებითად არაფრით არ განსხვავდება ამერიკის შესწორებისაგან, და განაცხადა, რომ იგი თავის შესწორებას მოხსნის, თუ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის წინადადება უარყოფილ იქნება. პიკმა იკისრა „მარშალის გეგმის" დამცველისა და პროპაგანდისტის უმადური შრომა. იგი ცდილობდა „მარშალის გეგმა" დაეხატა როგორც კეთილი საქმე ევროპისათვის. პიკმა უგულებელჰყო საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ „მარშალის გეგმა" ზიანს აყენებს ინგლისის ეროვნულ დამოუკიდებლობას და იწვევს მისი კეთილდღეობისათვის ძირის გამოთხრას, და განაცხადა, თითქოს ინგლისელი ხალხი „სიხარულით იღებს მონაწილეობას მარშალის გეგმაში და სრულიად მშვიდად სძინავს". პიკმა დაუშვა უხეში დამახინჯება, და პარალელი გაატარა „მარშალის" გეგმასა" და ინირას დახმარებას შორის, თუმცა როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ 1946 წელს უარი სთქვა ინირაში მონაწილეობაზე და ამჯობინა ემოქმედნა „ტრუმენის დოქტრინის" საფუძველზე, რასაც მიზნად აქვს შეერთებული შტატების მიერ იმ სახელმწიფოთა დამორჩილება, რომლებიც მათგან „დახმარებას" იღებენ. პიკმა გაიმეორა მის მიერ უკვე მრავალგზის მოყვანილი მოთხოვნა დუნაის კომისიაში დიდი ბრიტანეთის შეყვანის შესახებ და დაიმოწმა ის გარემოება, რომ ინგლისი დუნაის ევროპისა და საერთაშორისო კომისიის წევრი იყო „მათი წარმოშობის დღიდანვე". ამავე დროს პიკმა გააკეთა მოულოდნელი განცხადება, რომ, ბრიტანეთის დელეგაციის აზრით, საბჭოთა კავშირი... დუნაისპირა ქვეყანა არ არის. პიკმა სთქვა, რომ „დუნაისპირა ქვეყანა არის მხოლოდ უკრაინის სს რესპუბლიკა".

ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციამ დაარღვია გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის სატელეფონო კავშირი

ბერლინი, 12 აგვისტო. (საკდესი). 10 აგვისტოს ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის კავშირგაბმულობის განყოფილების განკარგულებით ბერლინის ამერიკული სექტორის საქალაქთაშორისო სადგურ „ფერნამტში" გამორთულ იქნა საბჭოთა ზონის კავშირგაბმულობის მნიშვნელოვანი სატელეფონო ხაზები, რომლებიც მიდის შვერინში (მეკლენბურგი), ჰალესა (საქსონია-ანჰალტი) და დრეზდენში (საქსონია). სამივე ეს ხაზი გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონის კავშირგაბმულობის მთავარი სამმართველოს სპეციალური სასამსახურო ხაზებია.

როგორც ცნობილია, სადგურ „ფერნამტში" თავმოყრილია საბჭოთა ზონის კავშირგაბმულობის ყველა უმნიშვნელოვანესი სატელეფონო ხაზი, მაშინ როცა ამერიკის სამხედრო ხელისუფალთათვის და ბერლინის ამერიკული სექტორისათვის „ფერნამტს" მხოლოდ შეზღუდული ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გაერთიანება მუშათა (კომუნისტების) პარტიასთან

სოფია, 12 აგვისტო. (საკდესი). გუშინ სოფიაში შესდგა ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტების) და ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტების გაფართოებული სხდომა, რომელზეც ოფიციალურად გამოცხადდა ამ პარტიების გაერთიანება.

ამა წლის აპრილის დამლევს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა შექმნა ერთიანობის კომიტეტი, რომელსაც დაავალა მოემზადებინა სოციალ-დემოკრატიული პარტიის და მუშათა (კომუნისტების) პარტიასთან გაერთიანების საკითხი. ერთიანობის კომიტეტმა ბულგარეთის ყველა სოციალისტს მიმართა მოწოდებით, სადაც ნათქვამი იყო, რომ ორივე პარტიის იდეური ერთიანობა უნდა განხორციელდეს სოციალისტების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციური თეორიის სრული აღიარების ბაზაზე. საორგანიზაციო ერთიანობა, აღნიშნული იყო მოწოდებაში, განხორციელდება ბულგარეთის მუშათა პარტიის (კომუნისტების) რიგებში, რომელიც მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის ნიმუშს წარმოადგენს.

13 მაისს ორივე პარტიის ცენტრალური კომიტეტების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ოქმს, სადაც აღნიშნული იყო, რომ მუშათა პარტიების წარმომადგენლებმა განიხილეს, თუ რა პირობებით შეიძლება მიღწეულ...

...დნენ, რომ ბულგარეთის მუშათა სოციალ-დემოკრატიული პარტია უერთდება ბულგარეთის მუშათა (კომუნისტების) პარტიას, რომ ამ შეერთების საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სრული აღიარება როგორც ბულგარეთში მუშათა კლასის მოქმედებისა და სოციალიზმის მშენებლობის სახელმძღვანელოსი.

შემდეგ ეს ოქმი ერთსულოვნად მოიწონეს ორივე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტებმა, რომლებმაც შექმნეს გამაერთიანებელი კომისია, რომელსაც დაევალა მუშათა პარტიების გასაერთიანებლად კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

ივნისის დამლევს შეერთების პრაქტიკულ განხორციელებას შეუდგნენ მუშათა პარტიების გაერთიანების ადგილობრივი კომისიები.

გუშინ ცენტრალური კომიტეტების გაფართოებულ სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით პეტკო ბოლგარანოვმა და მუშათა პარტიის (კომუნისტების) სახელით ვილკო ჩერვენკოვმა. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა პარტიების შეერთებას მუშათა კლასის ერთიანობის განმტკიცებისა და სოციალიზმისათვის საბრძოლველად დემოკრატიული ძალების გაერთიანების საქმეში.

სხდომამ ერთხმად დაამტკიცა რეზოლუცია, რომელიც იწონებს მუშათა პარტიების შეერთებას...

გი დე ბუასონის განცხადება

ვარშავა, 12 აგვისტო. (საკდესი). დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარემ გი დე ბუასონმა გუშინ პრეს-კონფერენცია გამართა, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე მუშა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციის სხვადასხვა დელეგაციათა წარმომადგენელნი.

გი დე ბუასონმა განაცხადა, რომ მუშა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციას ესწრება 46 ქვეყნის 446 დელეგატი, რომლებიც 45 მილიონამდე ჭაბუკსა და ქალიშვილს წარმოადგენენ.

გი დე ბუასონმა განაცხადა, რომ მუშა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციაზე დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წესდების შესაბამისად შეიკრება ახალგაზრდობა, განურჩევლად რასისა, რელიგიისა და პოლიტიკური რწმენისა. გი დე ბუასონმა გაკვირვება გამოსთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ თავისი მეთვალყურე გამოგზავნა კონფერენციაზე.

შეკითხვაზე, თუ რა პოზიცია დაიკავა კონფერენციამ იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ამერიკელ დელეგატთათვის ვიზების მიცემაზე უარი სთქვა, გი დე ბუასონმა უპასუხა, კონფერენციამ ეს ანტიდემოკრატიულ ნაბიჯად შეაფასა. შეკითხვაზე, თუ როგორ ეკიდება მუშა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენცია ომის გამჩაღებლებს, ბუასონმა განაცხადა, დელეგატები იმ აზრის არიან, რომ საჭიროა ბრძოლა ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

პროტესტები პოლ რეინოსათვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების წინააღმდეგ

პარიზი, 12 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, გუშინ ლუნის (ნორის დეპარტამენტი) რაიონის რკინიგზელთა პროფკავშირების გაერთიანებამ, რომლებიც შრომის საყოველთაო კონფედერაციას ეკუთვნიან — „ფორს-უვრიერმა" და საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციამ ნახევარი საათით შესწყვიტეს მუშაობა პოლ რეინოსათვის საგანგებო რწმუნებათა მინიჭების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მუშაობა შესწყვიტეს აგრეთვე ბევრმა საწარმომ. სახელმწიფო მოსამსახურეთა ფედერაციების კავშირის სექცია აღშფოთებით აცხადებს პროტესტს კონსტიტუციის შინაარსისა და ფორმის უხეში დარღვევის წინააღმდეგ. მრავალი საპროტესტო დეპეშა მოდის პარლამენტის წევრთა — ამ დეპარტამენტის დეპუტატთა და რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელზე.

ყოფილ ფრონტელთა რესპუბლიკურმა ასოციაციამ თავის მხრივ აგრეთვე დაგმო მთავრობის პროექტი.

გუშინ შრომის საყოველთაო კონფედერაციამ კომუნიკე გამოაქვეყნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ შრომის საყოველთაო კონფედერაცია უარყოფს მთავრობის წინადადებას საგადასახადო რეფორმის შესახებ და ეს წინადადება მიაჩნია მთავრობის ცდად — დაფაროს თავისი პოლიტიკის რეაქციული და ანტიდემოკრატიული ხასიათი.

ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო ჩეხოსლოვაკიიდან ზენკლის გაქცევის შესახებ

პრაღა, 12 აგვისტო. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს, ყოფილი განათლების მინისტრის სტრანსკის გაქცევის შემდეგ, ერთი დიპლომატიური მისიის დახმარებით, ჩეხოსლოვაკიიდან გაიქცა პრემიერ-მინისტრის ყოფილი მოადგილე ზენკლი. ამრიგად, ორივე პირმა გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი რწმენა, რაც ეწინააღმდეგება მშრომელთა ინტერესებს.

მუშა ახალგაზრდობის ვარშავის საერთაშორისო კონფერენციაზე

ვარშავა, 11 აგვისტო. (საკდესი). მუშა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციის დელეგატებმა დიდი ინტერესით მოისმინეს პოლონელი ახალგაზრდობის წარმომადგენლის, კრაიოვა რადა ნაროდოვას პირველი არალეგალური სხდომის მონაწილის, სეიმის დეპუტატ ელენე თავორსკაიას გამოსვლა. მან ილაპარაკა, თუ რა დუხჭირ მდგომარეობაში იყო მუშა ახალგაზრდობა წინანდელ მემამულურ-კაპიტალისტურ პოლონეთში და რა უდიდესი ცვლილება მოხდა ახალგაზრდობის ცხოვრებაში სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის დამყარების შემდეგ.

სახალხო-დემოკრატიული პოლონეთის პოლიტიკა, სთქვა თავორსკაიამ, ემყარება გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანასთან, საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანასთან თანამშრომლობას. პოლონეთი, წინათ ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა, განვითარებული მრეწველობისა და მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყნად ხდება. ხალხმა გაანადგურა რეაქცია და საძირკველი ჩაუყარა სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციის პრინციპებზე დამყარებულ ახალ სახელმწიფოს.

თავორსკაიამ აღნიშნა, რომ პოლონეთის სოფლებში პირველად გაიხსნა სახალხო სკოლები. სახელოსნო სკოლების რიცხვი პოლონეთში ომამდელთან შედარებით გადიდდა 700-დან 3 ათასამდე. გაიზარდა უნივერსიტეტთა რაოდენობა. უნივერსიტეტებში მუშა და გლეხი ახალგაზრდობის შესვლის გასაადვილებლად განხილულია სპეციალური კურსები. ამან მკვეთრად შეცვალა უმაღლესი სკოლების მოსწავლეთა სოციალური შემადგენლობა.

წელს საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში 25 ათასი ახალგაზრდა გლეხი სწავლობდა. სამწლიანი გეგმის დასასრულს, ე. ი. 1949 წელს, მოსწავლეთა რაოდენობა ამ სკოლებში გაორკეცდება. აგროტექნიკის საფუძვლების, სოფლის მეურნეობის მეცნიერული გაძღოლის მასობრივ სწავლაში ჩაბმული იყო ნახევარ მილიონზე მეტი ახალგაზრდა გლეხი.

მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ღონისძიებაა ორგანიზაცია „სამსახური პოლონეთისადმი", რომელშიც იბადებიან 16-21 წლის ახალგაზრდები. ორგანიზაციაში „სამსახური პოლონეთისადმი" გაერთიანებული ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს პოლონეთის აღდგენაში და ამავე დროს კვალიფიკაციას იძენს. თავისი ქვეყნის აღსადგენ შრომაში ჩაბმულია მთელი პოლონელი ახალგაზრდობა, რომელიც თვეში სამ დღეს უსასყიდლოდ მუშაობს ქალაქების, გზების აღდგენასა, კულტურის სახლების მშენებლობაზე და სხვ.

პოლონეთის ეკონომიური აღდგენის სამწლიანი გეგმის შესრულების შედეგად პოლონეთის მრეწველობას შემატება მილიონზე მეტი ახალი მუშა. მარტო ესეც ცხადჰყოფს, რომ პოლონეთში არ არსებობს უმუშევრობის პრობლემა და არც შეიძლება არსებობდეს.

თავორსკაიამ აღნიშნა ახალგაზრდობის პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობის დიდი ზრდა. ამჟამად, სთქვა მან, 130 ათასზე მეტი ახალგაზრდა მუშა და 100 ათასზე მეტი ახალგაზრდა გლეხი იღებს მონაწილეობას შეჯიბრებაში. თავორსკაიამ დაასახელა წარმოების შესანიშნავი მუშაკები, რომლებიც მრავალგზის გადაჭარბებით ასრულებენ საწარმოო ნორმებს.

პოლონელმა მუშა და გლეხმა ახალგაზრდობამ, სთქვა დასასრულ თავორსკაიამ, იცის, რომ თავისთვის შრომობს, რომ ვერავითარი კაპიტალისტი ვერ მიითვისებს მისი შრომის ნაყოფს.

ვარშავა, 12 აგვისტო. (საკდესი). დღეს კონფერენციის დელეგატებმა მოისმინეს იმ ქვეყნების წარმომადგენელთა სიტყვები, რომელთა ხალხებიც იძულებული არიან იარაღით ხელში დაიცვან თავიანთი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ესპანეთის ახალგაზრდობის დელეგატმა ხოსე სერანომ ილაპარაკა, რომ ფრანკისტულ ესპანეთში გამეფებულია ფართო ტერორი და მშრომელთა უმაღლესი ექსპლოატაცია. ესპანეთში სახალხო რესპუბლიკის არსებობის დროს, სთქვა სერანომ, მსხვილ მემამულეთა კუთვნილი მთელი მიწა ექსპროპრიირებულ იქნა. რესპუბლიკამ 5.000.000 ჰექტარზე მეტი მიწა დაურიგა გლეხებს, მოახდინა მსხვილი მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაცია. ესპანელმა ხალხმა თავის ისტორიაში პირველად მოიპოვა სრული პოლიტიკური და ეკონომიური უფლებანი. ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ ხალხს წაართვეს მთელი ეს მონაპოვარი.

სამხედრო და სხვა უნაყოფო საჭიროებისათვის ფრანკო სახელმწიფო ბიუჯეტის 75 პროცენტს ხარჯავს, მაშინ როცა მრეწველობისა და ვაჭრობის საჭიროებისათვის განკუთვნილია 0,8 პროცენტი, სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის კი 0.86 პროცენტი. მუშები, განსაკუთრებით კი მუშა ახალგაზრდობა, სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიან. ოფიციალური ცნობების თანახმად, მარტო თევზის მრეწველობაში 5.800 ბავშვი მუშაობს. ესპანეთში შიმშილია გამეფებული. ცნობილია მრავალი შემთხვევა, რომ მოშიმშილე მუშათა ძველი ოჯახები, რომლებიც ივსებიან სასტუმროსა და რესტორნების ნაგავში ეძებენ ნაყარნუყარს. ფრანკო ახალ სკოლებს არ აშენებს, სამაგიეროდ საპყრობილეებს აშენებს ბავშვებისათვის. მაგალითად, სევილიის გაზეთი იუწყება, რომ ქალაქში ორი საპყრობილეა—ერთი გოგონებისათვის, მეორე ბიჭებისათვის. ის გარემოება, რომ ჰიტლერის წინააღმდეგ ომის დამთავრების სამი წლის შემდეგ ესპანეთში მაინც არსებობს ფრანკოს სისხლიანი რეჟიმი, იმ დახმარების პირდაპირი შედეგია, რასაც ესპანეთს ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი უწევენ.

ამერიკის შეერთებული შტატები ფრანკოს შემწეობით ესპანეთს აქცევენ უდიდეს სტრატეგიულ აეროდრომად, რომელიც ამერიკელთა განზრახვით გამოყენებულ უნდა იქნას საბჭოთა კავშირზე თავდასასხმელად. სერანომ აღნიშნა, რომ ესპანეთის ეკონომიკის მთავარი დარგები ინგლის-ამერიკის კაპიტალის ხელშია. ინგლისის კომპანია „ორკონერა აირონ ორ კომპანი ლიმიტედი" ესპანეთის მთელი რკინის მადნის მარაგის 40 პროცენტზე მეტს უწევს კონტროლს. ინგლისის კომპანია „რიო ტინტო" ფლობს ევროპაში ყველაზე მდიდარ ესპანეთის სპილენძის მაღაროებს. კატალონიაში თავმოყრილი ესპანეთის საფეიქრო მრეწველობის 80 პროცენტი ამერიკის ტრესტების კონტროლს ექვემდებარება და სხვ.

ესპანელმა ფაშისტებმა გასულ წლებში სიკვდილით დასაჯეს ფრანკოს რეჟიმის ასითასობით მოწინააღმდეგე. ამჟამად საპყრობილეებშია 120.000 ესპანელი პატრიოტი, მათ შორის 20.000 ქალი.

მიუხედავად ფრანკოს ჯალათების სისხლიანი ტერორისა, ესპანელი ხალხი და ესპანელი ახალგაზრდობა განუწყვეტლივ იბრძვის ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

დემოკრატიული საბერძნეთის დელეგატმა კონფერენციას მოუთხრო, თუ რა ბრძოლას ეწევა ბერძენი ხალხი შინაური რეაქციისა და ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტების წინააღმდეგ. მონარქისტ ფაშისტთა ტერორის შედეგად, სთქვა მან, წამებით მოკლულ და დახოცილ 100.000, დააპატიმრეს 70.000 და გადაასახლეს 700.000 კაცი. მაგრამ ყოველივე ამან ვერ გასტეხა სული ბერძენი ხალხისა, რომელიც იარაღით ხელში იცავს თავის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ჩინელი ახალგაზრდობის დელეგატმა უამბო კონფერენციის დელეგატებს, თუ რა მიღწევები და სოციალური მონაპოვარი აქვს ჩინელ ხალხს ჩინეთის განთავისუფლებულ რაიონების ტერიტორიაზე.

დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა ჩინელი ახალგაზრდობის ერთგული სიმტკიცე თავისუფლების, დემოკრატიისა და მშვიდობის იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ვარშავა, 12 აგვისტო. (საკდესი). დღეს მუშა ახალგაზრდობის საერთაშორისო კონფერენციის ყველა დელეგატმა მონაწილეობა მიიღო ვარშავის აღსადგენ სამუშაოებში.

დელეგატები დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარის გი დე ბუასონის მეთაურობით რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობდნენ „განთავისუფლების ხეივნის" გასაშენებლად, სადაც საძირკველი ჩაეყრება პოლონელი ახალგაზრდობის კავშირის სახლს.

დღეს ეროვნულ მუზეუმში გაიხსნა გამოფენა, რომელიც დოკუმენტალურად ასახავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუშა ახალგაზრდობის ცხოვრებასა და ბრძოლას. მნახველები უდიდესი ინტერესით ათვალიერებდნენ სტენდებს საბჭოთა კავშირის, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, ვიეტნამის რესპუბლიკის, მებრძოლი საბერძნეთის, რესპუბლიკური ესპანეთის, ჩრდილოეთ კორეის, მონღოლეთის, იტალიის, საფრანგეთის, ლათინური ამერიკისა და სხვა ქვეყნების მუშა ახალგაზრდობის ცხოვრების შესახებ.

ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის" ყრილობა

16 აგვისტოს საღამოს 7 საათზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს [illegible] სახლი, მე-5 სართული) მოწვეულია სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების „ტყის მეგობრის" პირველი ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია:

1. სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების „ტყის მეგობრის" საორგანიზაციო ბიუროს ანგარიში.
2. საზოგადოების წესდების დამტკიცება.
3. სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოების „ტყის მეგობრის" საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ მოსკოვში შესდგა ორი კალენდარული მატჩი ფეხბურთში. პირველ მატჩში შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივის" და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ტაიმში ანგარიში გახსნეს მოსკოველებმა. თბილისელები ცდილობენ ანგარიშის გათანაბრებას, მაგრამ ამაოდ. მათ მიიღეს 11 მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება, ურტყამს გ. ჯეჯელავა, მაგრამ მოსკოველთა მეკარე დავთიანი იღებს ამ ბურთს. თამაში დამთავრდა თბილისელთა დამარცხებით ანგარიშით 0:1.

მეორე მატჩში თამაშობდნენ მოსკოვის გუნდები „დინამო" და „ტორპედო". თამაში დამთავრდა „ტორპედოს" გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ხალხური სიმღერების ანსამბლი

აფხაზეთში 1936 წლიდან არსებობს ქართული ხალხური სიმღერების სახელმწიფო ანსამბლი. მას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლოტბარი კოწე გეგეჭკორი.

ანსამბლი შესანიშნავად ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის 60-ზე მეტ სიმღერას. მათ შორის სიმღერებს ლენინზე, სტალინზე და ბერიაზე. იგი წარმატებით ასრულებს აგრეთვე მის მიერ დამუშავებულ სიმღერებს სოციალისტური შრომის გმირ თემურ თარბაზე. ეს სიმღერა დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ აფხაზეთში.

ანსამბლის რეპერტუარში განსაკუთრებული ადგილი ეჭირავს უძველეს აფხაზურ სიმღერებს „აფხაზურ ლაშქრულს", „აფხაზურ ნანას", „გაულბას", „სადილოს" და სხვ.

ანსამბლი ხშირად მართავს კონცერტებს, როგორც სოხუმში, ისე სხვა ქალაქებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამჟამად ანსამბლი კონცერტებს მართავს აფხაზეთის ზღვისპირა აგარაკებზე, იმავე დროს გაცხოველებით ემზადება შემოდგომაზე თბილისში სავასტროლოდ ჩამოსვლისათვის.

ანსამბლის წევრთა შორის ცეკვა-სიმღერის მაღალი ოსტატობით გამოირჩევიან სოლისტები ქალებიდან — ვ. ბერია, ბ. მარღანია, ნ. გაზურია და ნ. ჩავლეიშვილი; ვაჟებიდან — ა. მიქავა, ა. ადამია, მ. ჩხეტია და ა. გვაზავა.

მწერალთა კლუბში

14 აგვისტოს, მწერალთა კლუბში (მახაბლის ქ. № 13) პოეტების სექციის საჯარო სხდომაზე გერმანული პოეზიის საკუთარ თარგმანებს წაიკითხავს ახალგაზრდა პოეტი ვახტანგ ბეჟუაშვილი; შემდეგ აღნიშნული თარგმანების შესახებ მოხსენებას გააკეთებს კრიტიკოსი ვანო წულუკიძე.

დასაწყისი დღის 2 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი
აცხადებს მიღებას დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ სპეციალობებზე:

1. ქალაქ თბილისში (სასწავლო შესახვევი № 2/4, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობა):
1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები);
2. ელექტროსადგურები, ქსელები და სისტემები (რუსული სექტორი);
3. სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობა (ქართული სექტორი);
4. ელექტრომანქანები და აპარატები (ქართული სექტორი);
5. მადნეულ ბუდობთა დამუშავება (ქართული და რუსული სექტორები);
6. გეოლოგია და მადნეულ ბუდობთა ძიება (რუსული სექტორი);
7. სამარკშეიდერო საქმე (ქართული სექტორი);
8. ავტომობილები (ქართული და რუსული სექტორები);
9. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორები);
10. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია (რუსული სექტორი).

2. ქალაქ ქუთაისში (კიროვის ქუჩა, მე-5 რუსული სკოლა):
1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი);
2. სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობა (ქართული სექტორი);
3. ავტომობილები (ქართული სექტორი).

3. ქალაქ ბათუმში (შაუმიანის ქ. № 49, მე-2 ქართული ქალთა სკოლა):
1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი);
2. სამრეწველო საწარმოთა ელექტრომოწყობილობა (რუსული სექტორი);
3. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია (ქართული სექტორი).

4. ქალაქ ფოთში (კიროვის ქ. № 84, ჰიდროტექნიკუმის შენობა):
1. ჰიდროტექნიკური მშენებლობა (ქართული სექტორი).

5. ქალაქ ჭიათურაში (სტალინის ქ. № 44).
1. მადნეულ საბადოთა დამუშავება (ქართული სექტორი).

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან ორივე სქესის პირები არანაკლებ 17 წლის ასაკისა, რომელთაც მიღებული აქვთ საშუალო განათლება და მუშაობენ წარმოებაში, არჩეული სპეციალობის მიხედვით.

განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. ავტობიოგრაფია, 2 საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), 3. ცნობა სამსახურის შესახებ, თანამდებობის, მუშაობის სტაჟისა და პასპორტის ნომრის აღნიშვნით. 4. სამი შემოწმებული ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ.

უფროს კურსებზე შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ აგრეთვე ცნობა სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ჩაბარებული საგნების შესახებ (საგნების შეფასებისა და მოცულობის აღნიშვნით).

უგამოცდოდ მიიღებიან საშუალო სკოლის მედალოსნები, აგრეთვე ტექნიკუმის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, მოხვედრილნი გამოშვების 5 %-ის ანგარიშში, რომლებიც შედიან თავის სპეციალობაზე (მედალოსნები და ტექნიკუმის ფრიადოსნები, რომლებიც შედიან სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობაზე, გამოცდებს აბარებენ მხოლოდ ხაზვასა და ხატვაში).

დანარჩენები აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი); ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი); გ) მათემატიკაში (წერა, ზეპირი); დ) ფიზიკაში; ე) უცხო ენაში (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული) და ვ) ქიმიაში.

სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობაზე შემომსვლელნი ქიმიის მაგივრად აბარებენ ხაზვასა და ხატვას.

იმათგან, ვინც გამოცდას ჩააბარებს, ჩაირიცხებიან უფრო მაღალი შეფასების მქონე პირები. განცხადებები მიიღება 1 სექტემბრამდე.

სამამულო ომის მონაწილენი, რომელნიც ჩააბარებენ გამოცდებს, მიღებულ იქნებიან კონკურსის გარეშე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს როგორც თბილისში (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაში), ისე რაიონების სასწავლო საკონსულტაციო პუნქტებში, 1—12 სექტემბერს.

კვირას, 15 აგვისტოს, ბერიას მოედნიდან ლისის ტბამდე ივლიან ავტობუსები.

მოქალაქე რაისა კონდრატეს ასულმა მხეიძემ, მცხოვრებმა ცედოშვილის ქ. № 8, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე თათარხან ლევანის-ძე მხეიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

ი. როსტომაშვილი, ა. ლლონტი, ლ. ჭუჭუკაშვილი, ნ. პროსტოსერდოვი, ა. ნიკოლაიშვილი, ა. წულუკიძე, თ. ცაგურია, ა. რიჟამაძე, შ. მაღლაკელიძე, გ. ლომიძე, ქ. სტურუა, ა. ჯილაუდაროვი, ა. ქაჯაია, ნ. შარბატოვა თანაგრძნობას უცხადებენ ვანო შარაშიძეს მისი მამის **ბესარიონ შარაშიძის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე მარო, შვილები კოლია, ქეთო, ომარ, რამაზ ბარკალაიები იუწყებიან **ლეონტი ბარკალაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 15.VIII ბეთლემში (ცხაკაიას რაიონი).

ა. ლატარია, ლ. თევზაძე, ნ. მარჩენკო, ი. კოკაძე, ი. ხუროძე, გ. შატათავა. გ. ეგბრაფოვი თანაგრძნობას უცხადებენ ნიკოლოზ ლეჟავას მისი დედის **ბაბილინე პავლეს ასულ ლეჟავას** გარდაცვალების გამო.

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს კონტროლიორების ჯგუფი საქართველოს სსრ-ში თანაგრძნობას უცხადებს ლიდა ჯალაღანიას მისი დედის **ეკატერინე ხიტუს ასულ ჯალაღანიას** გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ქ. ფოთში.

შვილი მიხეილ, მშობლები სიმონ და ნინო, ძმა ოთარ, და მარო გულისაშვილები, პავლე გოგოლაძე, ვანო, თამარ, მანანა, ზინა გულისაშვილები, ოლა ალიკაშვილი შვილიშვილით იუწყებიან **ეთერ გულისაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14.VIII, 8 ს. გამოსვენება 15.VIII, 6 ს. ხრამჰესის, 20.

სარეწაო კოოპერაციის არტელ „კავკასიის" მუშა-მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ სოლომონ და გერმანე თოდრიებს მათი დის **მაყვალას** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3.08 67, სამდივნოსი — 3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის — 3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3.81.84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო[illegible] — 3.80.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3.73.24, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობისა — 3.51.81, სტამბის დირექტორის — 3.77.70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფ. კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. — ტირაჟი 110.000 — უე 11695